

3-44.

საბავშვო ჟურნალი



1928

საბავშვო

№ 15

== თითოეულმა ბავშვმა ==

უნდა გამოიწვიოს და იკითხოს

ოცკვირეული უურნალი

„კითხვები“

შინაარსი:

1. ყველა პიონერ-კოლექტივებს და სკოლებს	2	85	7. „კრასინმა“ გადაარჩინა ნობელის თანამშრომ- ლები — ალ. ხვა.	17	83
2. საზატხულო ბანაკი — ხ. ერთაწმინდელი	3		8. პიონერები ბანაკად	19	
3. ლესი — ვ. ჩაჩიბაიაძე	5		9. ბავშვა საერთაშორისო მოძრაობა — ლ. ვ — თ	22	
4. უცხო ქვეყნის ძიებაში — შ. შ.	6		10. ავსტრია — ალ. ვორგაძე	23	
5. ვივარგია — კ. კალაძე და კ. დორთქიფანიძე	11		11. რა უნდა ვიკითხოთ	24	
6. მოდიეთ სინარულით შევხვდეთ სკოლას — ახტაშევა	16		12. თამაშობანი	25	

329-153 (05)

მუხატა ქლასის სამხისათვის იყავ მუხად!



3-47



კომუნეზი

1928

15 აგვისტო

საქართველოს მ. კ. თ. ცენტრალური ბიბლიოთეკა (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრალური) და განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური აღზრდის მთავარბიბლიოთეკის აქრნალი ბავშვისათვის

წელიწადი III
№ 15



მოსკოვის პიონერები ბუნების წიაღში.

375.

ყველა პიონერ-კოლექტივებს და სკოლებს.

მზრომელთა ბავშვობა!

იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ნაბიჯს ნაბიჯზე სდგამს წინ და ისე განამტკიცებს თავისი ძალას და მეურნეობას, არ შეიძლება დარჩეს არც ერთი ადამიანი, რომელიც განზე იდგეს და გულზე ხელედაკრეფილი შემოგვცქეროდეს. ჩვენ ყველანი სოფლად თუ ქალაქად, ვჩენი ძალისდა მიხედვით უნდა ვეხმარებოდეთ ჩვენს ქვეყანას მეურნეობის გაძლიერება-განმტკიცებაში.

ჩვენ არ ვართ უსაქმო და მუქთამუქამლები: ჩვენ პატარაობიდანვე ვეწევით შრომას მინდორში, ბაღში, ბოსტანში, შინაურ მეურნეობაში.

ამით ჩვენ არა თუ მარტო შრომას ვეჩვევით, არამედ ჩვენი მუშაობით, ჩვენი პატარა ნამოქმედართ ვეხმარებით საბჭოთა ხელისუფლებას სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაში.

მრავალი პიონერ-კოლექტივები, სკოლები სოფლად და ქალაქად, აგრეთვე ცალკე ბავშვები ამ ზაფხულში ეწევიან მუშაობას ბოსტანებში, ბაღებში, შრომობენ საქონლისათვის საკვები მასალის გაუმჯობესებისათვის, შინაური ცხოველების და ფრინველების მოვლის საქმეზე.

ყველა ამ კოლექტივს უკვე აქვს გარკვეული მიღწევები და რადგან ეს ასეა, საჭიროა ეს მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში ტყუილად არ იკარგებოდეს. ისინი უნდა გავაცნოთ სხვა პიონერ-კოლექტივებს და სკოლებს, რომ მათაც ისწავლონ ამ გამოცდილების ნიადაგზე სოფლის მეურნეობის საქმე.

ამისათვის ნორჩ-პიონერთა ცენტრალური ბიუროს აუცილებლად მიაჩნია სასოფლო მეურნეობაში ბავშვების მიერ მიღწევების შემოწმება და მიუწოდებს ყველა ბავშვებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა მოსავლის დღის ჩატარებაში, ორგანიზაციულად მოემზადონ ამ დღისათვის, გაითვალისწინონ თავისი ყოველი ნაკლი და მიღწევა.

პიონერებო! ერთი წუთის დაუგვიანებლად:

1. დაიწყეთ მომზადება ბავშვთა სასოფლო მეურნეობაში ნამუშევარის დათვალიერების საქმეში. ამისათვის კოლექტივების და რგოლების კრებებზე განიხილეთ საკითხი, თუ როგორ უნდა მიიღოთ მონაწილეობა შემოწმებაში, შეარჩიეთ გამოფენისათვის ექსპონატები, ნაწარმები, სურათები, რომ ამით წარმოადგინოთ სრულად კოლექტივების სასოფლო მეურნეობაში მონაწილეობის სინამდვილე.

2. ფართედ გააშუქეთ შემოწმების ამოცანები და მისი სამზადისი შეუკავშირებელ ბავშვების, მოწაფეების და აგრეთვე მოზრდილთა შორის.

3. გამოყავით ბავშვთა იმ წრიდან, ვინც სასოფლო-სამეურნეო მუშაობას ეწევა, ბავშვთა კორესპოდენტები კედლის გაზეთისათვის და აგრეთვე ცენტრალურ ორგანოებისათვის (ჟურ. „პიონერი“, „კარმირ წილერ“ და სხვა).

4. ემზადეთ მოსავლის დღეზე სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, აღნიშნეთ ეს დღე პიონერ-სეირობით: სიმღერების, თამაშობის, გამოსვლების, დრამის და სხვა გასართობების მოწყობა-ჩატარებით.

საქ. ნ. პ. ცენტრ. ბიურო.



ტფილისის პიონერები ბანაკად. ბანაკის მოწყობილობა კარაკლისში.



1.

...რა გათენდა და მზე მთაზე გამოჩნდა, პიონერთა რაზმი უკვე სტოვებდა სიციხით შეხუთულ, მუდამ მშფოთარე ქალაქს...

მწყობრი რიგებით, დოღზე ცემით, სიმღერით, ყიჟინით მიდიოდა მესამე თაობა საზაფხულო ბანაკად. მათ იმედიან ხელში ამაყად ფრიალებდა საყვარელი წითელი დროშა...

— ერთი! ორი! ერთი, ორი!... — ისმოდა მეთაურის ძახილი და წითელ ყელსახვევიანი, სიცოცხლით სავსე სახეები ღიმილით მიაბიჯებდა...

ღილის ნიავე ჰქროდა და ბიბინებდა მინდორზე უკვე დაოქროსფერებულ თავთავიანი ყანა, გზის პირად; მეორე მხარეს, აქუჩუჩებულ მწვანე სიმინდების შრიალში ოღნავ ირხეოდნენ მზეუმზირები, მზესავით გაბადრული ყვითელფერები და გზისპირად ნელა მოლიკლიკე რუ თავის შეფეხებით ნამავდა წითელ ყაყაჩებს, ჩაუდიოდა ორღობეს და ღელეში ჩხრიალით ყირას გადადიოდა...

ცელქ ნიავეს მინდვრით მოჰქონდა ყვავილთა სურნელება და ქალაქის დახშულ ჰაერს თავდაღწეულ პიონერებს ახვევდა.

— დიაღ, ამხანაგებო, როგორც ვითხარით, თქვენ ხართ მუშათა და გლეხთა შვილები, კომკავშირელთა შემცვლენი, რომელნიც თავის მხრით მიდიან კომუნარების შეცვლად... — განაგრძობდა მეთაური, რა კოლექტივი სოფელს მიუახლოვდა, და ვენახების ბოლოს, ასწლოვან კაკლის ჩრდილ ქვეშ შეისვენეს და იწყეს დანაყრება წამოდებულ ხორაგით.

მზე უკვე ცის ლურჯ თალის შუაგულს მოექცა, სიციხე ჩამოწვა და ნიავე უკვე უღონო იყო ჰაერის სიგრილის მოსაფენად...

წარმტაცი იყო ვენახების და ბაღების სილამაზე ვაზის და ხილის აფერადებით; წითელლოყება ვაშლს

სიმძიმით ძირს დაეშვა ტოტები, ალუბლის და ბალის კუნწულები მძივებივით ასხმულიყვნენ ხის კენწერობზე...

2.

რა ბუკი დაჰკრეს, მთელი სოფლის ახალგაზრდობა გამოეგება საყვარელ სტუმრებს...

კვირა დღე იყო...

აღმასკომის წინ ეხლახანს დაშლილიყო კრება. ხალხი აქა-იქ შეკრებილიყო ჯგუფ-ჯგუფად და მსჯელობდა სოფლის საჭირობორტო საკითხებზე.

სოფლის პიონერები სიხარულით შემოეგებენ თავს ქალაქელ ამხანაგებს და აქედანვე დამყარდა მათ შორის ძმური კავშირი...

მეორე კვირასვე გამოუშვეს კედლის გაზეთი ერთად, მერე ადგილობრივ კლუბშიც დაიწყეს საღამოს მზადება...

— აი ჩვენი მომავალი თაობა, იმედი... — უთხრა აღმასკომის თავმჯდომარემ გლეხებს, როცა შეხედა რომ კოლექტივი ვარჯიშობდა ფიზკულტურაში. ყველა სიამით უყურებდა...

— ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სულიო, უთქვამთ ძველად. მშრომელი ხალხის ახალი მოდგმაც უნდა იყოს კუნთებმაგარი, სულიერად მაღალი, ძლიერი — მიუგო ღიმილით ვალიკომ თავმჯდომარეს და გადასცა პიონერებს:

— პიონერებო, კომუნის შენებად იყავით მზად!

— მზადა ვართ მარად!.. — იგრილა ერთად რამდენიმე ათეულმა ხმამ, მარჯვენა ხელის მაღლა აღებით...

— რაც ეგენი აქ დაბანაკდნენ, ი ჩემი ბიჭუნა აღარ მეშვება, პიონერობა მინდაო... — აზობდა ერთი გლეხი.

3.

— პიონერი უნდა იყოს გაბედული, გულკეთილი და ყველასთვის მცოდნე... და მე მიხარია, რომ

ამ ყველა ღირსებებით დაჯილდოებულია გოგი!... — წამოიძახა მეთაურმა.

ეს იყო ერთ დილას, მდინარეზე, სადაც კოლექტივმა მოაწყო საბანაო და ყოველ დილა-საღამოს დადიოდნენ. ზოგმა უკვე იცოდა, ზოგი ეხლა სწავლობდა ცურვას...

პატარა ვანო გასცდა დაწესებულ ადგილს და ტალღებმა მოიტაცეს...

— მიშველეთ, მიშველეთ... — იყვირა მან...

ბევრი შეკრთა, ბევრი ნაპირ-ნაპირ გამოუდგა და თოკის სროლა უწყეს, რომ მას ხელი მოეკიდა, მაგრამ ჩაყვინთა, მისი ღონე ვერ უშკლავდებოდა მდინარის დენას...

მეთაური, რომელიც მუდამ თან ახლდა ხოლმე და ცურვას ასწავლიდა, ამ დროს უკვე ტანთ იცვამდა, მაგრამ რა ეს ამბავი შენიშნა, ისევე გახდა იწყო, თუმცა ეს აღარ დასკირებია, რადგანაც ამხანაგის დახსნად უკვე გოგი გადაეშვა...

— ქოჩორში მოჰკიდე ხელი და მეორე ხელით მოუსვი! — გადასძახა მეთაურმა გოგის, რა ის უკვე მიუახლოვდა ვანოს, რომელიც იძირებოდა, და რამდენიმე ჩაყურყუმალავების შემდეგ მხოლოდ ხელებს და იქნედა...

გოგი უკვე მოათრევდა ამხანაგს...

რა უკვე ნაპირს გამოიყვანეს გონწასული ვანო, დააწვინეს და ორივე ხელების წინ და უკან ქნევით ნაყლაპი წყალი გადმოაღვრევინეს პირიდან, მოასულიერეს. თვლები რომ გაახილა და შეხედა ამხანაგებს, გაიღიმა...

— რა გაცინებს, მოუსვენარო? არ გეუბნები ხოლმე, შორს ნუ შესტოპავთ მეთქი? — თუხრა მეთაურმა დაყვავებით. ტანისამოსი ჩააცვეს.

— თავგანწირვა, თავდადება ამხანაგისათვის ყოველ პიონერის მოვალეობაა და შეგნების ნაყოფი!... — მიუგო გოგიმ და უშველა გადმოსვლა, კარავიდან გამოსვლა... გარედ, მინდორზე პიონერებს ვარჯიში ჰქონდათ, სოფელს ამხანაგებთან ერთად... ბურთი ხელიდან ხელში გადადიოდა; ისმოდა, ყიჟინა, ხმაური...

საღამო ახლოვდებოდა; იქვე მახლობელ ტყიან მთით მონაბერი სიო დათარეშობდა, და დღის სიცხე-პაპანაქებით ატრუსულ მიდამოს საამოდ ეფინებოდა...

პიონერები თამაშის შემდეგ მოედნენ სოფელს, ეცნობოდნენ სოფლის ცხოვრებას, საქანლის მოვლას, თუ რამეში შეეძლოთ შეველა, მზად იყვნენ...

სოფელი მათი მისვლით გამოცოცხლდა, გამხიარულდა, ყველა ნატვრით შეჰყურებდა მათ, გარდა ბობოლა გლეხების, მღვდლის, მკითხავის, მედუქნისა და ყოფილ თავად-აზნაურთა ნაშთების, რომელნიც პიონერებში ხედავდნენ თავის სამუდამოდ დამსამარებლებს...

4.

მესამე თუ მეოთხე დღეზე ვანო უკვე ძუნძულით მისდევდა ამხანაგებს სათოხნად კოლექტივის სიმინდში, რომელიც მათ დათესეს აქ, საფინდო მიწაზე...

მათ დათესეს აგრეთვე ბოსტნეული და დარგეს კულტურული მცენარეულობანი, ლიმონი, ფორთოხალი, ჭარხალი, საშაქრე, თამბაქო, ბაზბა, ჩაი და სხვა...

კოლექტივის ბოსტანი თითქმის საჩვენებელი იყო ამ სოფელში; მათ რჩევა-დარიგებას აძლევდა ადგილობრივი აგრონომი...

შეისწავლეს ბალის გაშენება, ხეხილის დაყრა, მოვლა, წამლობა, ვაზის მოვლა, მიწის განაყოფიერება სასუქით. ხანდახან მეორე სოფელშიც გადავიდოდნენ ხოლმე, სადაც რამდენიმე გლეხი შეერთებულიყო და კოლექტიურად ამუშავებდნენ მეურნეობას...

კვირაში ერთხელ ისინი ექსკურსიაზე დადიოდნენ ახლომახლო მრავლად გაბნეულ ისტორიულ ადგილების დასათვალიერებლად.

— მხოლოდ ბრძოლა, მტრობა, შური და სისხლის ღვრა იყო გამეფებული მაშინ და ეხლა კი... საბჭოთა ხელისუფლება თქვენ გზრდით, როგორც კომუნის ყვავილებს, მომავალი შრომისა და ძმობის ქვეყნის ბურჯებად, რაც თქვენ უნდა დაავიკრივინოთ, თქვენის მეცადინეობით, სწავლით და გასწოთ კომუნისთვის — ეუბნებოდა ხოლმე მეთაური.


პიონერები დაუახლოვდნენ აგრეთვე საზაფხულო ბანაკად წამოსულ პიონერთა სხვა კოლექტივებს მეორე სოფელში და შრომის სკოლის მოწაფეებს... მათ კავშირი გააბეს ბანაკად გასულ ჯარის ნაწილებთან, ხშირად მიდიოდნენ იქ, სწავლობდნენ სამხედრო საქმეს, ეცნობოდნენ წათელარმიელთა ცხოვრებას და ყველა ეს გადმოჰქონდათ აქ, სოფელში, სადაც მათ სასროლო ტირიც დაარსეს, სწავლობდნენ თითონ და ასწავლიდნენ სოფელს ამხანაგებს...

კოლექტივში სიცოცხლე სდულდა...

ყველა პიონერს ესმოდა თავის მოვალეობა...

ყველა გრძობდა, რომ საზაფხულო ბანაკად ყოფნა მას უნდა გამოეყენებია ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, მშრომელ გლეხობასთან დასახლოვებლად, მისი ყოფა-ცხოვრების გასაცნობად, მეურნეობის შესასწავლად და ასე მომზადებული ისევე დაბრუნებოდა შემოდგომაზე ქალაქს, სკოლას, სწავლას...

— დიად, პიონერმა უნდა იცოდეს ყველაფერი. ის მომავლის იმედია, მან უნდა შეისწავლოს მეურნეობა, მრეწველობა, და სამხედრო საქმე, ავიაცია, ქიმია, თავდაცვა, რათა დაიცვას ირგვლივ შემორ-



ტყეული მტრებისაგან საბჭოთა კავშირი, მუშათა და გლეხთა ქვეყანა, როგორც გვასწავლიდა ჩვენი ბელადი და მამა...—ხშირად ეტყოდა ხოლმე მეთაური...

არც ერთი კამპანია არ ჩატარებულა სოფლად, სადაც პიონერთა კოლექტივს მონაწილეობა არ მიეღოს და არ გაეკვირვებინოს მაცურებელი თავისი მუყაითობით...

მათ თავიანთ მუშაობაში ჩაითრიეს სოფლის ბავშვები, კულტურული ძალები და მთელი სოფლისთვის თითოთ საჩვენებლები გახდნენ...

5.

— რაა? რა უნდა გამიკეთონ მაგ ბაღებსმა?!— ღიმილით მიუგო ტატომ, უღარიბესმა გლეხმა, როცა მწვინებელმა სოსანამ უთხრა:

— იცი, ტატო, აიმ პიონერებს გადაუწყვეტიათ, დაეხმარონ ყველა სუსტ კომლებს, ვისაც მუშახელი აკლია, ქვრივ-ობლებს, წითელ არმიაში წასულთა ოჯახებს და უღარიბეს გლეხობას... და, როგორც ვაგიგე, პირველად შენ სიმინდს შეესევინა...

— არა... იქ იმათ არაფერი გამიფუჟონ, თორემ არაფერს გამიკეთებენ...— ესა სთქვა ტატომ და თოხი მხარზე გაიღო, ნაფუზრისკენ დაეშვა...

მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა გორაკზე გადადგა და შეამჩნია პიონერები მეთაურიანად, როგორ მარად იქნევდნენ თოხს მის სიმინდში და კობტად გაჰქონდათ კვლები...

პიონერთა შეწყობილი სიმღერა არემარეს სძრავდა...

— აი თქვენ კი გენაცვალეთ, ბიჭებო, შვილებო... დაეხარდებით თქვენ მშობლებს კარგებო...— წამოიძახა ტატომ გულაჩუყებით და დაეშვა სიმინდში მგლური ძუნძულით, გადაეხვია რომელიც პირველად შეხედა, გულში ჩაიკრა, მეტი სიხარულით ცრემლები

მოადგა თვალებზე და არ იცოდა რა ექვა, რით გადაეხალა მადლობა...

— პიონერებმა იციან თავისი მოვალეობა, ამხანაგო ტატო!— უთხრა მეთაურმა და გადახედა თავის უმცროს ამხანაგებს ღიმილით; ისინი გრძობდნენ მორცხვ სიამაყეს, მათ უხაროდათ, რომ ტატო ასე აღტაცებაში მოვიდა მათი ნამუშევრით...

— ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით, ძია, რომ დაგეხმაროთ...— უთხრა გოგამ.

— აი თქვენ კი დამეხარდეთ შვილებო და გაიხარეთ...— ესლა სთქვა ტატომ, რომ პიონერები აქ უკვე მორჩნენ და ღელეს გაღმა გადიოდნენ...

— აბა ეხლა კი იმ მოხუც სალომეს მიწას შევესიოთ, იმ დღეს რომ გვწყველიდა და დავცინოდა...— ამის თქმა იყო და მათი ყიჟინით შეტევა...

იქ, სადაც მდინარე ჩამოუღის სოფელს გივი შხუილით და ვენახები აყვავებულან თვალის წარმტაცად, მწვანე ველზე კოლექტივს გაუშლია კარგები, რომლებიც მოგაგონებთ მწვანე ხავერდის ახალუხზე აბმულ თეთრ ღილებს...

აი საზაფხულო ბანაკი პიონერთა...

ერთი მხრით ბიბინებს მათი სიმინდი და მეორე მხარეს ბოსტანი, შემოდგომილი, სადაც კულტურულ მკენარეებსაც აუყრიათ ტანი და შიგ კი პიონერები დაფუხსფუსებენ მეცადინეობის შემდეგ და უვლიან კარგ მებაღესავეთ...

ჯანსაღ კუნთებით, ფაქიზი სულით აიყრება კოლექტივი შემოდგომაზე აქედან და უფრო მძლავრი ყიჟინით, აღფრთოვანებულ სიმღერით დაუბრუნდება დედაქალაქს, ყველაფერში გამოცდილი...

და, რა მათი ბუკი გაისმის ქალაქთან მიახლოვებისას, ქუჩები სიხარულით უფრო განზე გაიწევენ, და ქალაქი ზაფხულით დამწვარ გულს მიუშვერს პიონერთა რაზმებს ჩასახუტად.

ს. ერთაწმინდელი

* *

ცა სარკვა, მზე იცინის, ცხელა, ცხელა, ცხელა... ერთიმულობს ქალის პირი, აქ არიან ყველა.

მდინარეც კი მიღეულა. მინც მირბის ჩქარა... და ხტებთან თვითფულად, განა ეს ლა კმარა?!


აღსავსეა სიხარულით პიონერი ლადო;

აბა, შეხვით მის მხარულსა, თავი წყალს მიანლო.

ტალოს ზურგზე გადიგორებს, ხან თვით მოახტება. მარჯვე მკლავს და მარჯვე ტორებს, წინ რა დაუდგება?

ნაპირისკენ ღიმილს ვზავნის, თვით ტალებში ლაღობს, აქედან კი ტაშს უკრავენ: —ვაშა, ვაშა, ლადო!

ვასო ჩაჩიბაია.



ჯექი გოლდერის ბავშობა

პატარა ჯექი ობოლი იყო მამით. ჯექის მამა ფლოტის ლეიტენანტი რობერტ გოლდერი, ჯერ კიდევ ჯექის დაბადებამდე ერთი თვით ადრე გაემართა თავის უკანასკნელ მოგზაურობაში, საიდანაც იგი აღარ დაბრუნებულა.

ჯექს ძლიერ მოსწონდა და უყვარდა კიდევ ტყავდაკრულ სავარძელში ჯდომა. მან იცოდა, რომ წინად ეს სავარძელი ეკუთვნოდა მის მამას, უშიშარ და შეუღრეკელ ლეიტანტ რობერტ გოლდერს. სავარძელმა დღემდე მოაწია ჯექის მამის შემდეგ სხვა ზოგიერთ ნივთთან ერთად.

დღეა ხშირად ეუბნებოდა ჯექს, რომ იმათ ჯექის მამის სიცოცხლის დროს კარგი ბინა ჰქონდათ და ამ ბინაში მრავლად იყო ძვირფასი ავეჯეულობა. მაგრამ ახლა იმ აუარებელ ავეჯეულობიდან თითქმის მხოლოდ ეს დიდი გაცვეთილი სავარძელი-ლა დარჩა. დანარჩენი ავეჯეულობა გაჭივრებამ გააყიდვინა ჯექის დედას.

როდესაც ჯექი 8 წლისა იყო და ადვილად შეეძლო წარმოედგინა თავისი თავი პატარა კიშად (ალბად, თქვენც გეჩნებათ წაკითხული ან გაგონილი შეუპოვარ, ფეხბარდ და დაუდგვარ ესკიმოს კიშის ამბავი), ჯექი გადააფარებდა ამ სავარძელს ზურგზე ჭრელ, ზოლებიან საბანს, შემდეგ შედგებოდა საბანსა და სავარძელს შუა დარჩენილ თავისუფალ ადგილში და თავი მოსწონდა თავისი ქობით.

„დედა, დედილო, — ყვიროდა ჯექი, — აბა, შეხედე, როგორი იგლო მაქვს!“

ჯექმა კარგად იცოდა, ესკიმოსების ქობს „იგლო“ ეწოდებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჯექს იტაცებდა ფიქრები იმის შესახებ, რომ იგი არის მამაცი და დაუცხრომელი კიში. ამიტომ იყო, რომ ჯექი წამოისხამდა ზურგზე დედამისის თავშალს, აიღებდა ხელში ჯოხს (ეს უკანასკნელიც მამის შემდეგ დარჩენილ ნივთების რიცხვს ეკუთვნოდა) და ხმამაღლა უძახოდა დედას.

„დედაჩემო, აიკივავ! მე სანადიროდ მივდივარ. ჩემი სურვილია, რომ ჩვენ ყოველთვის საკმაოზე მეტი გვექონდეს ხორცი“.

და იმედი ჰქონდა ჯექს, რომ მისი დედა კი შის დედასავით ძლიერ შესწუხდებოდა ნადირობიდან შვილის ამდენი ხნის დაუბრუნებლობის გამო.

მართალია, ჯექის დედას არასოდეს გაუმღრავს ნახშირით თავისი პირისახე, როგორც ამას სჩადიოდა კიშის დედა მწუხარების ნიშნად, მაგრამ იგი ყოველთვის გრძნობით ეკითხებოდა სასადილო ოთახში ბალიშით მხარზე შემოვარდნილ ჯექს:

„კიშ, შენ უკვე დაბრუნდი? ძალიან მოხარული ვარ, შეილო, რომ მშვიდობით დაბრუნდი!“

დედის ეს სიტყვები ჯექს დიდად სიამოვნებდა და იგი თავმომწონედ სთხოვდა ხოლმე დედას:

„აიკივა, მომიშადავ საჭმელი. მე ძლიერ დავილაღე და ამიტომ უნდა დავიძინო“.


და ჯექი, ივიწყებდა რა, რომ დედამისი არ შედიოდა საბნით გადახურულ სავარძლის ქვეშ, თითონ ჯდებოდა სავარძელში და ხუჭავდა თვალებს, თითქოს სძინავს.

მაგრამ თამაში ამით არ თავდებოდა. თითქმის ასჯერ გადაკითხული ამბავი ესკიმოს კიშის შესახებ აცოცხლებდა ჯექის გონებაში კიშის მოქმედებას და თავგადასავალს. და ჯექი, რასაკვირველია, განაგრძობდა თამაშს.

მას განსაკუთრებით უყვარდა განკარგულებების გაცემა თავისი თანამომძეებისადმი. მართალია ეს თანამომძეები გვერდით არ ჰყავდა ჯექს, მას წარმოდგენილი ჰქონდა, თითქოს იმ წუთებში ისინი მის წინაშე იდგნენ და ჯექი არ იშურებდა თავის ნანადირევი თეთრი დათვების ხორცს, უნდოდა ბლომად დაერჩებოდა მათთვის, ისე, როგორც კიში შერებოდა ამას.

„მე მინდა ახალი და დიდი იგლო მქონდეს. მაგრამ დრო არა მაქვს, რომ თვით მე ავაგო ჩემი იგლო. არ მცალია, იმიტომ რომ ისევ სანადიროდ მივდივარ. ამისათვის თქვენ თვითონ უნდა ამიშენოთ დიდი და ლამაზი იგლო“.

პირველად, როდესაც ჯექმა გაითამაშა კიშის ეს როლი, იგი გაკვირვებული დარჩა იმით, რომ როცა დაბრუნდა სასადილო ოთახში, თავისი იგლო მას იმავე სახით დაუხვდა, როგორც დასტოვა. ამიტომ ჯექს თვითონ მოუხდა საკმების მიღება სავარ-



თავისუფალი ვარჯიში.

ძელისათვის და საბნის გადაჭიმვა სავარძელსა და სკამებს შორის. ამ გარემოებით ჯეკი მეტად ნაწყენი დარჩა. მაგრამ დედამ შენიშნა ეს და შემდეგ, როდესაც ჯეკი-კიში მიდიოდა სანადიროდ საწოლ ოთახში, დედა ყოველთვის ახვედრებდა მას ახალ იგლოს, სავარძელსა და სკამებს შორის გადაჭიმულს ჭრელი საბანისაგან.

როდესაც ჯეკი ბალიშით მხარზე შედიოდა სასადილო ოთახში, დედა ეუბნებოდა მას:

„შეხედე, ჩემო კიშ! მამასახლისმა გასცა ვანკარგულეზა აეგოთ ჩვენთვის ახალი დიდი იგლო“.

ცხადია, ამ თამაშით ჯეკი აღფრთოვანებაში მოდიოდა. სხვა თამაში, რომელიც არ გამოხატავდა რომელიმე ეპიზოდს ესკიმოს კიშის ცხოვრებიდან, ჯეკს არ მოსწონდა. მართალია, ჯეკი სხვა თამაშობასაც ეტანებოდა, მაგრამ ეტანებოდა ისეთს, რომელიც გამოხატავდა საქებარ მონადირეს, ველურ ადამიანს, ან მეზღვაურს.

ამ სხვა თამაშობიდან ჯეკს თითქმის თავდავიწყებამდე იტაცებდა მოთხრობები პოლიარული ქვეყნების შესახებ.

მამისგან დარჩენილი ტყავის სავარძელი უწყვეტად ჯეკს ესკიმოსის ქობის, პირველყოფილ ადამიანის გამოქვაბულის და საოკეანო გემზე კაპიტნის ოთახის მაგიერობას.

ჯეკს ძლიერ მოსწონდა მეზღვაურისა ცხოვრება. ამიტომ იგი ხშირად მეზღვაურის როლსაც ჰკიდებდა ხელს. ამისათვის იგი დადგებოდა ფეხებით სკამზე, მის ზურგზე კი მიამაგრებდა ჯოხს ანძის მაგივრად და დასჭეკავდა მეზღვაურის სიმღერას:

„ჩვენი ხომალდი, სწრაფად მავალი, გასცურავს უფსკრო, უსაზღვრო ზღვასა. არ შეუშინდეთ, ძმებო, გმირთ-გმირნო, ზღვის ამხედრებულ უნდობ ტალღებსა. ჩვენი ხომალდის კაპიტნად არის ჯეკი უდრეკი, მკლავებ მაგარი! არ შეგეშინდესთ, ძმებო, სულ წინ, წინ! თქვენთან არს ჯეკი, გოლდერის შვილი“.

ამრიგად, ასეთ თავგადასავლიან თამაშობებში ატარებდა ჯეკი თავის ბავშობის ხანას. იგი ხან სანადიროდ მიდიოდა, ხან პოლიარულ ქვეყნებში მიემგზავრებოდა, ხან გემებით ხაზავდა ზღვების და ოკეანების ზედაპირს, ხან დათეს ეომებოდა და ხან კი აზვირთებულ ზღვის ტალღებს.

მაგრამ როდესაც იგი წამოიზარდა, დედა მოუყვა მას მისი მამის, რობერტ გოლდერის თავგადასავალს.

ჯეკ გოლდერი გეზულოვს თავისი მამის აგზავს

დედა მოუყვა ჯეკს, რომ მისი მამა ფლოტის ლეიტენანტი რობერტ გოლდერი, თავის დაღუპვამდე ორი წლით ადრე მონაწილეობას იღებდა ექსპედიციაში, რომელიც გაემგზავრა გემ „ბალტიმორა“-ზე პოლიარულ წრის იქითა მხარის ზღვების მდინარებათა გამოსაკვლევად.

მოგზაურობის დროს ერთ მშვენიერ დღეს გარიჟრაჟზე, რობერტს, როდესაც ის იდგა თავის სადარაჯოზე, შორს პორიზონტზე შეუშინებია მთების ზოფილი, მოხაზულობა. და ეს მაშინ, როდესაც ის

განმარტოვებული

ადგილი მთელ მსოფლიოს რუქებზე აღნიშნულ იყო, როგორც გაშლილი ზღვა. ამ მთების მწვერვალების სათვის ცქერა თურმე დიდხანს როდი აცალა რობერტს ხშირმა ნისლმა, რომელიც აღიმართა მის თვალებსა და მოჩვენებულ მთებს შუა.

რა ჰქნას რობერტმა? ჯერ კიდევ ალიონია. გემზე ყველას სძინავს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ არტო მას ჰქონდა ბედნიერება დაენახა ქვეყნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობი კუნძული.

გაეღვიძა თუ არა ეკიპაჟს, რობერტმა გასცა ბრძანება მოჩვენებული კუნძულისაკენ წარემართათ გემი. ბრძანება და შესრულება ერთი იყო, მაგრამ გაუვალი ყინულის მინდვრები ხელს უშლიდა გამოეშვარავებია ყინულოვანი ოკეანის ერთ-ერთი საიდუმლოება.

როდესაც რობერტმა მოახსენა ექსპედიციის უფროსს მის მიერ ნახულის შესახებ, სქელი ნისლით იყო დაფარული მთელი სივრცე მათი გემის ირგვლივ. უფროსმა შეუძლებლად ჩასთვალა არარსებულის მიწის მონახვა. მაგრამ რობერტმა აღნიშნა თავის დღიურში, თუ რა ადგილას იმყოფებოდა მათი გემი იმ წუთებში, როდესაც მან დაინახა ჯერ კიდევ შორეული მთების ქედები.

მას შემდეგ ამ უცნობ მთებამდე მისვლა და მათი გამოკვლევა ერთად-ერთ საოცნებო საგნად იქცა რობერტ გოლდერისთვის.

მაგრამ მისი პირველი ცდა სრული დაბარცხებით დამთავრდა. გზაზე მას მოუხწრო ქარიშხალმა, რომელმაც დაამსვრია მცურავი ყინულები, და ჯეკის მამამ რობერტმა ძლივს იხსნა თავი სიკვდილისაგან ერთ-ერთ თავის თანამგზავრ ესკიმოსთან ერთად. ვეშაპებზე მონადირეთა გემ „კასატკამ“ იპოვა ორივე ისინი ნახევრად გაყინულნი და ამ გემის წყალობით შერჩათ მათ სიცოცხლე.

ამ მგზავრობიდან სამშობლოში დაბრუნებულმა რობერტმა უთხრა თავის მეუღლეს, რომ იგი ამიერიდან აღარ ფიქრობს მოგზაურობას მკაცრი სიცივეების, ყინულების და პოლიარულ ქარიშხლების პირქუშა სამეფოში.

„მაგრამ არც კი გასულა ამის შემდეგ ნახევარი წელიწადი, — ეუბნებოდა ჯეკს დედამისი, — რომ მე შევამჩნიე მამაშენს მოწყენილობა“.

— რაზე მოვიწყენია? — ვეკითხები მე მას თავის კაბინეტში.

— უნდა გამოგიტყდეს, — მითხრა მან, — რომ ძლიერ მწყურია ჩრდილოეთისაკენ წასვლა. მე ვერ მოვისვენებ მანამდე, სანამ არ წავალ და არ დავათვალიერებ ჩემ მიერ აღმოჩენილ მიწას.

იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ეს უცნობი კუნძული მართლაც არსებობდა.

მე კი ვიცოდი, ჩემო ჯეკ, რომ უარის თქმა შენი მამისთვის უშედეგო იქნებოდა. მე არ ვაძლევდი ჩემს თავს ამის უფლებას და ამიტომ არაფერი არ ვუთხარი მას.

ერთხელ მიეცა მამაშენს ხელსაყრელი შემთხვევა. მას დაეხმარენ პატარა გემის მოწყობა-მომარაგებაში. და მამაშენმა გასწია სამოგზაუროდ ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ დახე უბედურებას, თურმე უკანასკნელად მოგზაურობდა იგი...

გრენლანდიდან მომივიდა მისგან წერილი. შენც იცნობ ამ წერილს, ჩემო ჯეკ. რობერტი მწერდა, რომ მას, გაწამებულს პოლიარულ ყინულებში მოგზაურობით, არა ერთხელ მიუცია თავის-თავისთვის სიტყვა, რომ არასოდეს არ განეზრახა და არ წასულიყო ასეთ მოგზაურობაში.

„მაგრამ უცნობი კუნძული ანდამატივით მიზიდავს თავისკენ, — მწერდა რობერტი. — და მე ისევ აღფრთოვანებით მივემგზავრები ჩრდილოეთისაკენ“.

— ეს აღფრთოვანებული, მხნე და გამარჯვებაში დარწმუნებული წერილი, უკანასკნელი წერილი იყო მამიშენისა, — ამოიოხრა ჯეკის დედამ.

და მოუთხრო ჯეკს ყველაფერი ის, რაც იცოდა მან უცნობ ქვეყნებისაკენ მისი ქმრის, რობერტის მოგზაურობის შესახებ.

როგორ დაიღუპა ჯეკის მამა

ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ლეიტენანტ რობერტ გოლდერმა დასტოვა გემი „დილის ვარსკვლავი“ და გასწია პირდაპირ ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ ორი ესკიმოსის თანხლებით. მათ უნდა ევლოთ ყინულებზე ზღვაში. მათი გამოანგარიშებით, მთელი გზა იქით-აქეთ უნდა გაევლოთ თვე-ნახევარში იმ ათიოდე დღის ჩათვლით, რომელსაც რობერტ გოლდერი დაყოფდა მის მიერ „ბალტიმორა“-ს კაპიტნის კიბიდან ნანახ უცნობ კუნძულზე.

„დილის ვარსკვლავმა“ სამი თვე უცადა გოლდერის დაბრუნებას, მაგრამ ლოდინი ამაო შეიქნა. ამიტომ „დილის ვარსკვლავი“ ისევ უკან დაბრუნდა.

გადიოდა თვეები... მაგრამ გოლდერის შესახებ არა ისმოდა რა. ბოლოს, ერთი წლის შემდეგ (მას აქეთ, რაც გოლდერი წავიდა ყინულის უზარმაზარ ლოდებს შუა მომწყვდეულ გემ „დილის ვარსკვლავიდან“) იგი უნახავს კაპიტან სამუელსონს. ამ უკანასკნელს გოლდერი უნახავს თანამგზავრ ორ ესკიმოსთან ერთად მწოლარე თოვლით დაფარულ კარავში. გოლდერს თან ჰქონია თავისი დღიური, რომლის უკანასკნელი ფურცლები ზეპირად იცოდა ჯეკმა სიტყვა-სიტყვით. აი ეს ფურცლები.



„ბანაკი № 56. 12 ოქტომბერი, ორშაბათი.
 გვალატობს ძალ-ღონე. „დილის ვარსკვლავამდე“ 160 მილზე *) მეტი გზა გვაქვს გასავლელი. შესაძლებელია, რომ ზღვის მიმდინარეობას გემი სულ სხვაგან ჰქონდეს გადატანილი, მაშინ ჩვენ ვეღარ ვიპოვით მას. საგზალი გვეყოფა მხოლოდ ექვს დღეს, ძალ-ღონე კი — უფრო ნაკლებ ხანს. საშუალოდ დღეში ჩვენ სამ-ოთხ მილს გავდივართ. მაგრამ, ეჰ..! არაქათი გველევა.


იგივე ბანაკი, 14 ოქტომბერი. ოთხშაბათი.
 გუშინ, შეუდექით თუ არა გზას, მოპირდაპირე ქარი ამოვარდა. იძულებული ვავხდით ისევ უკან გამოვბრუნებულიყავით. ქარი დღესაც ჩვენს წინააღმდეგ ქრის. ვცდილობთ ცოტა ვკამოთ. ექვსა დღის საგზალს რვა დღის განმავლობაში ვიკმარებთ, შემდეგ კი? მე არ ვუძახებ ჩემს თანამგზავრებს ჩვენს უმწიკო მდგომარეობას. ისინი ფიქრობენ, რომ „დილის ვარსკვლავამდე“ 40 მილზე მეტი არ არის. რა იქნება მართლაც, რომ ყინულთან ერთად გემსაც გამოეცვალა თავისი ადგილი და უფრო დაგვახლოვებოდა ჩვენ? როგორც კი ჩადგება ქარი, ჩვენ ისევ განვაგრძობთ გზას.

ბანაკი № 57. 15 ოქტომბერი, ხუთშაბათი. ქარმა იცვალა მიმართულება. ახლა იგი ზურგიდან გვიბერავს და თითქოს გვშველის მგზავრობაში, მაგრამ ძალღონე გვალატობს. ძლივს მივთრევთ ფეხებს. საკარგო ტილოთი და სხვა რამეებით დატვირთულ მარხილს თითქმის ქარი მოასრიალებს. ძლიერ ცივა. თითქმის მთლად ვიცილებით ძვალ-რბილიანად. ჩემი თანამგზავრი ტეკი ძლივს მოათრევს გაყინულ ფეხებს. ხანდახან, როცა ქარიც გვეხმარება, ჩვენ მარხილში ვსვამთ ტეკის და ისე მიგვყავს. მაგრამ მარხილში იგი ლამის იყინება სიცივისაგან და ამიტომ, თავისი სხეულის შეთბობის მიზნით, ჩვენთან ერთად ებმება მარხილში და გვეხმარება მის თრგვაში. საშინელი ტკივილები აწუხებს. არც ჩვენ ვართ მაინცა-დამაინც უკეთეს მდგომარეობაში...

ბანაკი № 58. 18 ოქტომბერი, კვირა. ტეკი ითხოვს, თავი მივანებოთ მას. მაგრამ ჩვენ არ ვეთანხმებით და ძალას ვატანთ რა ჩვენს თავსაც და ტეკისაც, მთელი დღის განმავლობაში მივდივართ. მე გადავწყვიტე ვიცოცხლო მანამ, ვიდრე არ გამომეღვევა ნამხმარის უკანასკნელი ნაჭერი; გადავწყვიტე არა მარტო ვიცოცხლო, არამედ ვიარო წინ გემისა-

კენ. შესაძლებელია გემზე დარჩენილები წამოსული არიან ჩვენს საძებრად და იქნებ მოგვეძებნონ კიდევაც, სანამ მთლად გავიციებოდეთ.

იგივე ბანაკი. სამშაბათი, 20 ოქტომბერი.
 ტეკი გარდაიცვალა. მარჯვენა ფეხმა უარი უთხრა მას სამსახურზე. ძლიერ მიჭირს წერა. ახლა მხოლოდ გემიდან დახმარების იმედი გვასულდგმულებს ორივე ცოცხლად დარჩენილს.




პიონერებმა თანაშობენ ქადრას.

ვშიშობ, რომ ხვალ უკვე წერასაც ვეღარ შევძლებ. მაგრამ მაინც მინდა ვთქვა სიკვდილის წინა წუთებში, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული ჩემ მიერ ვემ „ბალტიმორადან“ ნახულ და დღემდე ყველასათვის უცნობი კუნძულის არსებობაში. არ ვიცი რა შემეძინა მე — ქალი თუ ვაჟი. ხოლო ახლად შეძენილი თუკი ვაჟია, მაშინ ვუანდერძებ მას განაგრძოს ჩემი ძიება იმ კუნძულის აღმოჩენად. კიდევ ვიმეორებ, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული ჩემ მიერ ნაჩვენებ ადგილას მიწის არსებობაში. მაგრამ მე უკვე აღარ მიწერია ჩემ მიერ ნანახ მთებამდე მიღწევა და მათი დათვალიერება.

ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი. ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ. საჭმელი ორივეს მხოლოდ ორი დღის განმავლობაში გვეყოფა, სათბობი მასალა კი — ერთ დღეს. ქარბუქი არ ცხრება; ყოველ მხრიდან თოვლს გვაყრის და გვეფლავს მასში. წერა უკვე აღარ ძალმიძს... იმედი მაქვს, არ დასტოვებენ უყურადღებოდ და უმწიკოდ ჩემს ცოლსა და ბავშვს.

კაპიტან სამუელსონმა მოიტანა ამბავი, რომ ესკიმოსები საძინებელ ტომრებში იპოვეს, თითქოს მიძინებულნი; ლეიტენანტი რობერტ გოლდერი კი გამხლართული იყო ყინულზე. მას თავ ქვეშ ჰქონდა ამოდებული თავისი ჩანთა საწერი რვეულებით და

*) მანძილის საზომი ერთეულია. მილის სიდიდე სხვადასხვა გვარია სხვადასხვა სახელმწიფოებში. ასე მაგ., რუსეთში მილი უდრის 7 ვერსს, ინგლისში — 1 1/2 ვერსს. საერთოდ კი ხმელეთის მილი უდრის 1609,33 მეტრს, საზღვაოსნო — 1853,15 მეტრს, გეოგრაფიული — 7420,4 მეტრს.



დღიურით, ცალი ხელი ქამარზე ჰქონდა ჩავლებული, მეორე კი—თავს უკან ჰქონდა გადადებული. ასეთი იყო რობერტ გოლდერის უკანასკნელი მოძრაობა.

ჯეკა ბადასუჟიბა თავისი მამის ამოცანა.

მიდიოდა წლები და ჯეკი დღითი-დღე ვაჟუცუდებოდა. ჯეკის შემყურე დედა აღტაცებაში მოდიოდა ჯეკის ახოვანი, წარმოსადეგი ტანადობით და მისი მსგავსებით ლეიტენანტ რობერტ გოლდერთან. ჯეკი თითქმის მამ მისის გამოსახულება იყო.

ამრიგად, პატარა კიში—ჯეკი გოლდერი გადაიქცა გამბედავ, შეუპოვარ მოგზაურად. და აი, ბავშვობიდანვე დაისახა რა მიზნად აღმოეჩინა ის კუნძული, რომელსაც შესწირა სიცოცხლე მისმა მამამ, — ჯეკი ხდება პილოტი, მფრინავი.

იქ სადაც მისი მამა და ასეული სხვა გამბედავი მკვლევარები ქვეითად, ან ძაღლებშებმული მარხილებით წარმოუდგენელი თავგანწირვით ლახავდნენ ყინულოვან უდაბნოს სიძნელეებს, ჯეკი ადვილად დაფარავს ლითონის ფრინველის — თავისი ჰაეროპლანის შემწეობით მრავალი ასეული ვერსის მანძილს.

ჯეკი დიდხანს ამუშავებდა თავის ასეთ გეგმას. მისთვის როდი იყო ადვილი საშუალებების გამოძებნა გაფრენის მოსაწყობად. მაგრამ როდესაც იშოვა ფული, მან ააგო განსაკუთრებული კონსტრუქციის (ავტოპლანების) ჰიდროპლანი და დაარქვა მას „ენ-ა-ზი“.

ჯეკი ემზადებოდა გაფრენისათვის. იგი იმედოვნებდა შეყურებდა თავის „ენ-ა-ზი“-ს გაპრიალებულ ფრთებს და ფიქრობდა: „რალაც ოციოდე წლის განმავლობაში როგორ ზღაპრულად დაწინაურდა კაცობრიობა თავის ტექნიკურ მიღწევებში. განა დაესიზმრებოდა მამაჩემს, რომ მე, მისი შვილი, ვიფრენ ჰაერში იმ უდაბნოს ზევით, რომელმაც უდაბნომაც დაასამარა იგი?“

დადგა გაფრენის დღე. ჯეკი შიშობდა, რომ დედამისი ტირილს დაიწყებდა გამომშვიდობების დროს და ამიტომ იგი იჩქაროდა გაფრენას, რომ არ ემზირა დედის ცრემლებისათვის. მაგრამ არ გამართლდა ჯეკის მოლოდინი. დედამისი უფრო მხნე და გულმარგარი აღმოჩნდა, ვიდრე ჯეკს ეგონა.

— მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ შენ გადასჭრი იმ ამოცანებს, რომელმაც იმსხვერპლა მამაშენი, — სავსებით დამშვიდებულად უთხრა მას დედამ და აღერსიანი თვალებით გადახედა ჯერ შვილს და შემდეგ მის ჰიდროპლანს, გემ „ალაბამა“-ზე დადგმულს.

შემდეგ კი ისევ შვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— მამაშენს რომ ჰყოლოდა ასეთი ფრინველი...

აი, მხოლოდ ახლა დასძლია ჯეკის დედა ცრემლებმა. მაგრამ მან არ მისცა მათ ნება, არ იტირა და საჩქაროდ გამოემშვიდობა თავის პირშოს შემდეგი სიტყვებით:

— დარწმუნებული ვარ გაფრენის წარმატებაში და შენს გამარჯვებაში. მშვიდობის გზა გქონდს, შვილო! „ალაბამა“ ჩრდილოეთისაკენ აიღო მიმართულება. ვილოვატის კონცხიდან კი ჯეკს თავის ჰიდროპლანზე უნდა განეგრძო გზა. ამიტომ ჰიდროპლანის ირგვლივ დატრიალდნენ ტექნიკოსები და ზეინკლები, ახმაურდა ჩაქუჩები... დაბოლოს ჰიდროპლანის შემადგენელი ნაწილები შეერთებულ იქნა და მზად იყო გასაფრენად.

მაგრამ პირველი გაფრენა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან ზღვა სავსე იყო ყინულის ვეებერთელა ლოდებით და არსად არ იყო სწორი ადგილი ჰიდროპლანის გასარბენად.

მეორე გაფრენაც უშედეგოდ დამთავრდა: ახლა ჯეკს ნისლი უშლიდა ხელს, ისე ბნელოდა ირგვლივ, რომ არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. ამიტომ ჯეკი იძულებული გახდა ხელმეორედ დაბრუნებულიყო უკან თავისი მიზნის განუხორციელებლად.

მესამეჯერ მეორე დღეს გაფრინდა ჯეკი და უცებ მიიმალა მაყურებელთა თვალთაგან.

ჯეკის ჰიდროპლანზე დადგმული იყო რადიო და პირველ ხანებში ჯეკი იძლეოდა ცნობებს თავის შესახებ. მაგრამ საათნახვერის შემდეგ შესწყდა ყოველგვარი ნიშნები ჯეკისაგან. ჯეკი დაიკარგა. განა ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ჯეკს შეემთხვა კატასტროფა და დაიღუპა იგი?

ადვილი და შემამარწუნებელი იყო აგრეთვე იმის წარმოდგენაც, რომ ადამიანი ლითონის პატარა ფრინველი შეიქრა ყინულოვანი უდაბნოს სივრცეში ასეული ვერსის მანძილზე და იქ მარტოდ-მარტო უხდებოდა ბრძოლა ნისლთან, სიცივესთან, ქარბუქთან და ქარიშხალთან. განა ქარბუქმა არ დაღუპა მამამისი?

მაგრამ გავიდა ექვსი საათი და მოისმა პროპელერის ხმა. ესკიმოსის ახალგაზრდა ქალი ჯენი შემოვარდა სახლში და გვახარა:

— ჯეკ გოლდერი ბრუნდება!

ნახევარი საათის შემდეგ კი ჯეკი უკვე ჩვენშორის იჯდა და გვიამბობდა თავისი გაფრენის შესახებ.

— მე სამჯერ გადავუფრინე იმ ადგილს, სადაც მამაჩემის გამოანგარიშებით უნდა ყოფილიყო კუნძული, — ლაპარაკობდა ჯეკი. ამინდი ხელს მიწყობდა. არავითარი ნისლი და ქარბუქი არ ყოფილა. მე ნათლად ვხედავდი მთებივით აღმართულ ყინულის ზოდებს და წყალს მათ შორის. მე ისე ახლო დავეშვი ძირს, რომ შევნიშნე თევზების მოყარაულე ორი ზღვის დათვიც კი. მაგრამ მე ვერ აღმოვაჩინე დედამიწის არსებობის ვერავითარი ნიშნები. ლეიტენანტი გოლდერი, თურმე სცვებოდა.

ამრიგად, საიდუმლოება ახსნილ იქნა, მაგრამ აღარ ზეიმობდა გამარჯვებული მფრინავი.

— საბრალო მამავ! დიდად ვწუხვარ, რომ შენ არ გქონდა ჩემი ენაზისებური ფრინველით სარგებლობის შესაძლებლობა. მაშინ შენ არ დაიღუპებოდი ბუნების ერთ-ერთ საიდუმლოებათაგანის გამოცნობაში. ახლა ჩვენ ფრთოსანი გავხდით და ჩვენთვის ხელისმისაწდომია მთელი ქვეყნიერება, — დაამთავრა ჯეკმა თავისი საუბარი.



ბიჭუნაშვილი

1.

ისინი ეშვებოდნენ ციცაბო კლდეებზე. მალლა იისფრად აწვდილ მთებზე იდგა მზე, — შუქი გაეშალა და ცა ლურჯად იყო გახელილი. ქვევით კი მძიმე სრბოლით მიდიოდნენ ნისლეები და ისმოდა ენგურის ღმუილი.

მათ სადავეებით მოჰყავდათ ცხენები და შიშით აბიჯებდნენ კლდეების ფენებზე გავლებულ ბილიკს... ხშირად ფეხიდან დასხლტებოდა რომელიმე ქვა, ჩიხრილებდა ნაპრალებს, მას სადმე შეყენებული ლოდებიც მოჰყვებოდნენ, და მერე მთელი ხეობა აყეფდებოდა.

ისინი იყვნენ ორნი. და არ იყვნენ ამ მთების შვილები.

2.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ხევის ძირამდე ჩავიდოდნენ.

ნაკადულთან ლოდებზე ჩამოჯდნენ, თუთუნი მოსწიეს და მერე ისევ შეჰყვნენ აღმართს. კაცი, რომელიც წინ მიდიოდა, იყო მალალი, გამხდარი და მოლუნულ მხრებზე თითქოს სხვისი ხელები ეკიდა, — ისე იყო გრძელი ეხლა იგი თანამგზავრს რომელღაც ამბავს უყვებოდა ჩაფიქრებული და გულდამშვიდებით ჩასცქეროდა გზას.

მეორე უფრო ახალგაზრდა იყო, ისევე ტანდილი, სახეზე ულამაზოდ მოსვლოდა წვერი, რომელსაც უწინ სრულიად იპარსავდა... ეხლა ამბავით გართული მიჰყვებოდა პირველს და ხანდახან თუ შეეკითხებოდა რამეს, — ისე კი თითქმის ყოველთვის უსტვენდა ხმადაბლა, რის გამოც მეგობარი „მოშიას“ ეძახდა.

პირველს კი ალექსანდრე ერქვა.

აქ ესენი საუბარში იყვნენ და ორწოხებზე გაცეულ გზას ამოდიოდნენ, რომ მთის გადაღმა უეცრივ თოფი გაეარდა. — ხმა კლდეებს მიემსხვრა გარ-

შემო, მთამ მთას შეჰყვება და მერე საზარლად ყველა ხევეები აღმუვდენ...

მგზავრებმა საჩქაროდ ცხენები შეაჩერეს.

„უთუოდ მონადირე ვინმე იქნება“, სთქვა ბოლოს ერთმა. რაც შეიძლებოდა სწრაფად ავიდნენ მწვერვალზე, რომ უცნობისთვის თვალი მოეკრათ, რადგან მთებში კვირეობით სანადიროდ გადაკარგულებისთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა ვინმესთან შეხვედრა, — თანაც შესაძლოა უფრო მოკლე ბილიკი ესწავლებია შარავნამდე.

მწვერვალიდან რომ გადინედეს, გზის პირზე თოფის წაოლის კვამლი ისევ იდგა, — ახლო-მახლო არვინ სჩანდა, მხოლოდ შორიდან მათ სმენამდე მოდიოდა ცხენის გამალებული ფეხის ხმა...

ეს სრულებითაც არ ჰგავდა წინასწარ მოფიქრებულ სურათს და მონადირეებმა თოფები მოიმარჯვეს, გვერდი-გვერდ გაეკრენ ცხენებს და ფერდობს ჩაჰყვნენ.

3.

იმ ადგილას, სადაც ტყვია გასროლილიყო, ცხენის ტორებით ჩახრილული ბილიკი-ლა მოსჩანდა.

ისინი გულმოდგინედ დასცქეროდნენ ჩამავებულ ნაპრალებს, მაგრამ ბურუსის გამო ვერაფერს არჩევდნენ.

ბოლოს ალექსანდრემ თავისი ცხენი ამხანაგს ჩააბარა და ფრთხილად ჩაეშვა. კარგახანს ისიოდა მისი ფეხის ხმა, — დასხლტეტილ ქვეების ჩხრიალი. მერე კი ყველაფერი მისწყდა.

მალამყოფი დიდხანს იდგა დაყურადებული და შეფიქრიანებულს ის იყო ხმა უნდა მიეცა, რომ დაბლიდან ყრუ ძახილი მოესმა, რომელიც შველას ითხოვდა.

ცხენები დასტოვა და უმაღლე მეგობართან გაჩნდა.

მეტად მტკივნეული სურათი იყო, — რომ ნახა ხმის ამოუღებელი მიუახლოვდა უცნობ



გვამს, რომელსაც კლდეზე გადმოვარდნით თავის ქალა ისე დაჩეჩქვოდა, რომ მშობლებიც ვეღარ შეი-
ცნობდნენ. იქვე ახლოს გაშეშებული იდგა 9 თუ 10
წლის ბავში. მას ამათ გამოჩენამდე მოესწრო ჩამო-
სვლა და ეხლა გაფითრებული დასცქეროდა ცხე-
ლარს...

ეს მომაკვდინებელი სიჩუმე ისევ ალექსანდრემ
დაარღვია...

— „სვანები ყოფილან, ეს ბავში ამ უბედურის
შვილია...“ თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

4.

მოკლეულის მალლა ამოტანა შეუძლებელი იყო.
ხვეის ძირში იქვე ხანჯლით ვიწრო სამარე გაუ-
ახარეს და მიწას მიაბარეს, რომ მისი ხორცი ყვა-
ყორნების საკორტნი არ გამხდარიყო.

გაზაფხულზე კი, აღიდებული წყალი რომ მო-
ვარდებოდა ხევდახვე, მოთხრიდა თუ მოსილაგდა მის
საფლავს და ყოველივე მივიწყებას მიეცემოდა.

მაგრამ რა მოთხრიდა მწუხარებას და ხსოვნას
იმ პატარა გულში, რომელიც შესაძლო იყო სამუ-
დამოდ შორდებოდა ეხლა ამ მიდამოს.

5.

— რომელი გორისა ხარ... დედა გეყოლება,
ძმა.

— ჩემი სოფელი აქედან სამი დღის სავალზეა.—
დედა არა მყავს. ღარიბი სახლ-კარი გვქონდა... და
შეგუბული სევდა ეხლა მოერია...

ალექსანდრე მიხვდა, რომ იგი მამასთან ერთად
სოფელს და მტრობას გამოქცეოდა, ხუჭუჭ თმებზე
სიყვარულით გადუსვა ხელი და ანუგეშა.

ცხენზე გადაკიდულ მარჯვენა ძარიდან ნადირის
ტყავების გარდა ყველაფერი ამოალაგეს და შიგ ჩა-
სვეს ბავში. მარცხენაში კი დათვის ბელი იყო.

შემდეგში, — გზადაგზა, როცა გულმა საგულე
ჰპოვა და მწუხარებაც ჩადგა, ისინი გაეცნენ ერთმა-
ნეთს. დაშეგობრდნენ.

შესაძლოა ბედიც ერთნაირი ჰქონდათ, რომ ასე
უცებ შეიყვარეს ერთმანეთი. იქნებ ამ პატარა და-
თვის ბელსაც მოუკლეს მამა და ეს მკვლელები იქ-
ნებ თითონ ეს გულკეთილი ადამიანები არიან, მას
რომ უპატრონეს.

ისინი მღუმარებით შესცქეროდნენ დათოვლილ
მწვერვალებს, მაღალ ციცაბოებს, რომლებიც თანდა-
თან უკან რჩებოდნენ... შესცქეროდნენ ტყეებს, რომ-
ნიც ნათან მუჰოირდებოდნენ.

6.

მეორე დღეს გზა უფრო გაიმართა.

დათოვლილი მწვერვალები უკვე აღარ სჩანდნენ
ენგურმა თანდათან ნაკადებით ტანი გაივსო და ხმა
ჩახლეჩილი ხევდახვე გაწვა.

მთებიც დადაბლდნენ.

ბოლოს გადამწვანებული გორები-და დარჩა და
ისინი ჩამოვიდნენ ბარად.

ასე ვიღოდნენ, სანამ რკინის გზის სადგურს მია-
ღწევდნენ. აქ მათ ცხენები განათავისუფლეს მგზავრო-
ბისაგან, დათვის ბელი გადმოსვეს მიწაზე და ყელზე
ჯაჭვი მოაბეს.

აქვე იყო 9 თუ 10 წლის სვანის ბავში, რომელიც
მელსაც ერქვა გივარგილა.

7.

მწვანე მინდორზე ტანაწვდილ ქადრებს შორის
იყო ჩადგმული პატარა სადგური, მარცხნივ იდგა
წყლის ქვაბები.

მათ ირგვლივ დამდგარ ტბაში ფრთაზე ფრთის
შემოკვრით ტანს იბანდნენ ნაზამთრი იხვები. საბარგო
რონოდების ქვეშ ღორები დინგით სჩიჩქნიდნენ მიწას,
ეძებდნენ სიმინდის თუ ხორბლის მარცვლებს და სი-
ცხისაგან შეწუხებულნი ზანტად ეხახუნებოდნენ ბორ-
ბლებს.

მხოლოდ და მხოლოდ.

სხვა მხრივ სადგურის მყუდროება დაურღვევე-
ლი იყო.

მგზავრებმა გადასტრეს ლიანდაგი და სადგურზე
მიყუდებულ ფარდულს შეეფარნენ.

ალექსანდრემ მტვერი დაიფერთხა, ოფლი ჩა-
მოიწმინდა და სადგურის უფროსს, რომელიც იხვებს
მოზელოდ ცომით აპურებდა, შეეკითხა:

— რამდენი უკლია მატარებლის მოსვლას?

— აღრეა ჯერ.

მოკლედ მოუჭრა სადგურის უფროსმა.

ალექსანდრე ჩამოჯდა.

— ლოდინი მოგვიხდება, — დაილაღე ბიჭუნი?

მიმართა სვანის ბავშს.

— მოდი აქ დაწექ, დაისვენე.

ნაბადი გაუშალა.

გივარგილა ხმაამოუღებლივ იდგა.

მწუხარებას და დაღლილობას მოედუნებია მისი
ჯანიერი და ცელქი სხეული. დაუდგარ თვალების
ნაცვლად თითქო უფერო სითხე იყო მის უბეებში
ჩადვრილი, ისე უაზროდ იცქირებოდა.

ალექსანდრე მიუახლოვდა, ხელი მოხვია და
აიყვანა.

ბავში დანებდა. ნაბადზე დაასვენა და ცალი
კუთხე წაფარა.



პიონერები ბანაკად

— დასვენე.

კვლავ გაუმეორა და მოშორება რომ დააპირა, გივარგილა წამოხტა სახეშეცვლილი, მოცოცხლებული...

— ბათუ, ბათუ!

წამოიყვირა და დათვის ბელისკენ ისროლა თითი.

— ნუ გეფიქრება, არ დაგიკარგავთ.

ლიმილით მიუგო ალექსანდრემ.

— აჰ, რა მომასვენებს აგრე!

შეშინებული ხმით წამოიძახა გივარგილამ და რამდენიმე მოკრილ ნახტომით დათვის ბელთან გაჩნდა, მკლავები მაგრად შემოხვია, მზრუნველ თვლებით თვლებში ჩახედა, ლოყები ცხვირზე გადაუსო, კვლავ თვლებში ჩახედა და მაგრად ჩაიკონა.

ბელმა იგრძნო გივარგილას ალერსი, ყალყზე წამოდგა, წინა თათები მკერდზე შემოავლო და თვისკენ მიიზიდა. თავი ვერ შეიმავრეს და ორთავენი ერთად გადატრიალდნ მოლზე.

ალექსანდრეს გაეცინა. სანახაობამ მოუღობო გული.

— წაიყვანე შენთან ნაბადზე.

— უჰ, — სიხარულით ამოაგდო გულიდან ხმა გივარგილამ მადლობის მაგიერ, ბელი აიტაცა და ბარბაცით ნაბადისკენ გაეშურა.

სულ რამდენიმე წუთი იყო საჭირო, რომ გივარგილას, ბელის თბილ მკერდზე მიხუტებულს,

8.

შორიდან გამოჩნდა შავი წერტილი, თანდათან გაიზარდა, გაძლიერდა გუგუნიც და მერე ერთბაშად შემოგრიალდა სადგურში მძიმე ქშენით მატარებელი.

ძილდამფრთხალი გივარგილა ფეხზე წამოხტა და შიშით შეხედა მის ახლო შეჩერებულ ორთქმავალს, უზარმაზარ მხეცივით რომ სუნთქავდა და ცეცხლის ენას ატრიალებდა...

გივარგილამ არ იცოდა, თუ რა იყო ის. არც ის იცოდა, რომ მისით უნდა ემზავრა.

მაგრამ ენა დაბმოდა და კითხვასაც ვერ ბედავდა. იდგა და შესცქეროდა. სიზმრის დასასრული თუ ეგონა. ალექსანდრე და „მოშია“ კი ბელს ებრძოდნ. — იგი არც ძალით, არც დაყვავებით არ ნებდებოდა უცხო ხელებს კალათში ჩასასმელად, იკბინებოდა, იქნევდა ტორებს და ლამობდა დასხლებას.

9.

კოტა ხნის შემდეგ დამორჩილებული დათვი ნადირის სევდით იცქირებოდა ფარღალა კალათის ფერდებიდან და ლოკავდა ყელზე მიბმულ ჯაჭვს.

გივარგილაც აქვე იყო და სულგანაბული მოელოდა ამ მოძრავ ოთახის ადგილიდან დაძვრას.

მატარებელი დაიძრა და უკან დარჩა სადგურის მინდორი, როგორც მატარებელ-დანვე გადმოსროლილი მწვანე თავსაფარი.

— ხვალ დილით ტფილისში ვიქნებით...

სთქვა ალექსანდრემ. „ვნახოთ როგორ შემოგვხვდება ქალაქი მთორი დღია არ ივინახას“

გივარგილა გულმოდგინედ ისმენდა მის საუბარს და გარბენილ ბოძებს და ველებს ადევნებდა თვალს.

10.

ეს მოხდა სადგურის წინ. ისინი მიდიოდნენ ასეთი განრიგებით:

წინ ალექსანდრე, შუაში გივარგილა, შემდეგ დათვი, „შოშია“ კი აგვირგვინებდა რიგს. გივარგილა დიდი ხანია ცდილობს თვალი არ აიღოს მიწიდან. მის თვალებს ერთფერ, კლდოვან, მძიმე და გაჩერებულ ბუნებაზე შეჩვეულებს, ძლიერ ეუცხოვებათ ქალაქის სანახაობანი, მოძრავ, შეუჩერებელ და უცნობ საგნებით სავსენი. გივარგილა უკვე ვეღარ არჩევს ერთ საგანს მეორისაგან.

ყოველმა საგანმა დაჰკარგა თავისი სახე, აირია, შეეხორცა მეორეს და ყველაფერი ერთ მთლიან, ბუნდოვან და მოგუგუნე საშინელებად დაეხატა.

აგერ ფართე მოედანია, მინდორი არ არის, ზედ ბალახი არ ხარობს. არც ტყეა, არ სჩანან ხეები. მით უფრო არც მთაა, მუშტის ოდენა ამაღლებულ ადგილს ვერ მონახავს თვალი.

სამაგიეროდ ბევრია... რა?

გივარგილა ცდილობს გაერკვეს და მონახოს ნაცნობი სახეების ნიშნები მის წინაშე მდებარე მოძრავ თუ გაჩერებულ საგნებში. ქვებით მოფენილ გზის ორთავე მხარეზე ჩამწკრივებულია შენობები. ისინი არც ისე მაღალნი არიან, გივარგილას უფრო მაღალი კოშკები უნახავს მთებში. მაგრამ ესენი ერთმანეთზე მიდგმული არიან და დაუსრულებლივ გაგრძელებული. აგერ ქუჩაზე დაგებულ პრიალა რკინებზე მოქრის კბილების ღრქენით კიდევ „სახლი“ და გივარგილამ იცის რომ მას ცხენი არ უბია, არც ხარები (ეს ალექსანდრემ აუხსნა). მოჰქრის, გაჩერდება, მიაწყდება • ხალხი, გაივსება და ისევ განაგრძობს გზას. ყველაფერი მოძრაობს. ირევიან ერთმანეთში და ვერც ერთისათვის ვერ მოუწახვავს გივარგილას სახელი.

უეცრად შუა ქუჩიდან გადმოუხვია და პირდაპირ მისკენ გამოქანდა ბეჩოს ქედებში რომ დათვმა იცის, იმოდენა ბორბლებიანი და რკინის თვალებიანი... ყვირის საზარლად, დაქრილ მხეცივით.

გივარგილა დაფეთდა და მარცხნივ განტა.

მის სისწრაფეს ვერ აპყვა დათვის ბელი.

გივარგილამ მთელი ძალ-ღონით მოქაჩა ჯაჭვი. დათვის ბელი მაინც ვერ დასძრა ადგილიდან.

მყვირალი საშინელება თანდათან ახლოვდება, აბრიალებს თვალებს. გივარგილამ შეჰყვირა, ჯაჭვს ხელი უშვა და მოსხლტდა ადგილიდან.

წინ ეტლი შეეჩხა. სხვა მხრით მიაშურა. იქაც

თანამგზავრებისაკენ გასასვლელი გზა ჩაიკვეცა და ქუჩის მეორე მხარეზე მოხვდა.

სიბრაზით მუშტები მოკუმშა.

იგრძნო თავისი სისუსტე მოძრავ საგნების წინაშე.

მთის გაუხედნელმა სისხლმა იფეთქა გივარგილას გულში; და სცადა სადგურის წინ შეგროვილ ხალხის გარღვევა ამაოდ.

ხალხმა სულ სხვა მხრით გაიტაცა და სხვა ქუჩის კუთხეში ამოჰყო თავი. თითქოს ყველანი ჯიბრზე არიან, პირდაპირ მასზე მოდიან და სურთ მისი გათელვა.

გივარგილა კი დახტის მათ შორის, გაურბის მათ ლაჩარვით.

დაიღალა, ასლოკინდა. ჩაჯდა კუთხეში და ცრემლებით დასცალა სიბრაზე და პატარა მთიელ კაცის შელახული თავმოყვარეობა.

11.

მზემ დასავლეთისაკენ გადაიწია.

— რამდენი ხანია გეძებთ, სად დაიკარგე!

წამოადგა ზურგიდან გივარგილას ალექსანდრეს ხმა.

პასუხის მაგიერ გივარგილამ ხელებზე შეხედა.

— ბათუ? იკითხა ყრუდ და ხელახლად მომდგარი სლოკინი უკანვე ჩააბრუნა ყელში.

— განა შენთან არ არის, ჩვენ შენ გამოგედევნეთ, ისიც თან გაიტაცე, გვეგონა.

— აუ—აუ,—

შემოიკრა გივარგილამ თავში ხელები.

წამოიჭრა.

— იქ ჩამორჩა, გაჯიუტდა, ხელი გაიშვირა სადაც მისი აზრით დაებნა დათვის ბელი და მოემზადა გასაქცევად.

— მარტო სად მიხვალ, ერთად წავიდეთ, შეაჩერა ალექსანდრემ.

შებინდებამდე იტრიალეს სადგურის მოედნის ირგვლივ. დათვის ბელი არსად სჩანდა.

გივარგილას მწუხარებას არ ჰქონდა საზღვარი.

— ნუ ჯავრობთ, ხვალ გაზეთში გამოვაცხადებთ, ვიპოვით უთუოდ.

ნელი, დაუჯერებელი ხმით დაამშვიდა ალექსანდრემ, როცა უკანასკნელი კუთხეც მოიარეს და შინ წასვლა დააპირეს.

გივარგილა შეკრთა, თავი ასწია და თვალი თვალში ჩააყარა ალექსანდრეს; უეცრად აიმრიზა, სახე წამოუწითლდა და რისხვა, რომელსაც მისი წელი ზიდავდა, გადმოუხვავდა თვალებიდან.

— ბათუ დამიბრუნე, გესმის!

შეეზიზნა გივარგილას ალექსანდრე, ეს ადგილიც, ეს უცნობი ხალხიც, რომლებიც მის უდიდეს

მწუხარებას, მისი ფიქრით, გულგრილად უცქერდენ. მათ სიცილს დაცინვასავით იღებდა მთიელი და უსივდებოდა გული.

— დამშვიდდით, ვიპოვით.

მეთასვეჯერ მაინც გაუმეორა ალექსანდრემ, ხელი მაგრად ჩასკიდა მკლავში, მოიხმო ეტლი და გაეშურა სახლისაკენ.

12.

სადაც მტკვარი მთელი კუთხით უხვევს და ემწყვდევა ვიწრო კალაპოტში, ამართულია პატარა მალლობი, ერთსართულიან სახლებით გაშენებული.

ერთი სუფთა შეხედულების სახლი პირდაპირ მტკვარზეა გადმოყუდებული.

აქედან პატარა ბილიკი ჩამოდის სანაპიროზე.

წინა მხრიდან სახლს აკრავს პატარა ეზო-ბაღი, რომელიც ალყაფის კარებით უერთდება ქუჩას. ქუჩა არც ისე დიდია ტფილისის სხვა ქუჩებთან შედარებით, მაგრამ მასზე დიდიდან საღამომდე განუწყვეტელი მოძრაობა და ხმაურია.

ეს აიხსნება იმით, რომ ახლო მდებარე ვიწრო ქუჩაზე, რომელზედაც მოძრაობს ტრამვაი, აკრძალულია ეტლების, ჯაგვების და საბარგო ავტომობილების სიარული.

ესენიც სხვა გასავალ ადგილის უქონლობის გამო, სანაპირო ქუჩით უერთდებიან ქალაქის სხვადასხვა კუთხეს.

მთელი სახლი შეირყევა და ოთახები გამაყრუებელ ხმაურით გაივსებინა, როცა მძიმეთ დატვირთული ავტომობილი ჩამორახრახებდა პატარა დაღმართზე და ალექსანდრეს ეზოს წინ გაივლის ხოლმე. განუწყვეტელია ეს ხმაური. კიბის უკან ჩამჯდარ გივარგილას აფრთხობს, უწყვეტს ფიქრებს და არასვენებს.

პატარა სვანი ეძებს სიმართლევს.

მეტად ბევრი მწუხარება არგუნა უკანასკნელმა დღეებმა.

მამის სიკვდილი ვერ იმწარა მან ისე მძლავრად, როგორც ბათუს დაკარგვა.

ალექსანდრე გრძობდა გივარგილას ჩუმ სევდას და სწუხდა.

— ნეტავ არ ჩამომეყვანა, ვერ გაუძელო მის დანაღვლიანებულ სახის ცქერას! უთხრა ცოლს ეთერს.

— ნეტავ მოკლილი არ იყო, სხვა საფიქრებელი არაფერი გაქვს?

— მცოდნეა ძლიერ, მით უმეტეს, მთავარი დამნაშავე მე ვარ.

ეთერი ვაცხარდა.

— რამ გაგაგოთა ადამიანო, გემები ხომ არ დაღუპვია შენს შვილობილს! რა მოხდა, დათვის ბელი დაიკარგა, სხვა ხომ არაფერი? შენც აიღე და სათამაშო დათვი იყიდე, თვალს გადააყოლებს, გულს მოიჯერებს და გადაავიწყდება.

ალექსანდრეს ცოლის რჩევა კეკუში დაუჯდა.

ბავშია, ხანმოკლეა მისი გატაცება და სიყვარული. ერთი საგნიდან იოლად გადადის და ეჩვევა მეორე საგანს.

გაიფიქრა ალექსანდრემ და მეორე დღით, როცა სამსახურიდან დაბრუნდა, თან მოუტანა გივარგილას მალაზიაში ნაყიდი სათამაშო დათვი.

შემლილივით წამოხტა გივარგილა, როცა ალექსანდრეს ხელში დათვი დაინახა.

მივარდა, გამოგლიჯა ხელიდან... იმ წამსვე უკან დაიხია და სათამაშო ხელიდან გაუშვა.

მჩატედ დავარდა დათვი იატაკზე.

— ბათუ არ ყოფილა! სად არის მისი სითბო, მისი ლმობიერი და წყლით სავსე თვალები. რად მოატყუეს ასე მწარედ, რად მოუტანეს ქიქისთვალემა უსულო, სასაცილო საფრთხობელა.

ალექსანდრე მიხვდა, რომ სათამაშო დათვის ყიდვით უფრო გაუმძაფრა გივარგილას ნაღველი.

გივარგილას ეხლა უფრო ნათლად წარმოუდგა ბათუ თვალწინ.

დახედა იატაკზე უშნოდ დავარდნილ სათამაშოს და შეადარა ბათუს, ცოცხალ ბათუს, რომელმაც იცის სირბილი, ჭიდაობა, ალერსი, რომელიც თვალე ბრიალა უსულო მხეცმა გამოგლიჯა ხელიდან ამასწინედ, — სადგურზე.

იგრძნო გივარგილამ ჩვრებით გაკეთებულ დათვის წინაშე ბათუს დიდი უპირატესობა, იგრძნო რომ არამც თუ დათვი, არამედ თოვლითმოსილი მთები, კლდეებს შუა ჩატეხილი ხეგები, ცამდე აყუდებული ხეები, მხარზე თოვთმოგდებული მთიელე ბიც დაიკარგენ მისთვის. და იატაკზე დაგდებულ სათამაშო დათვივით უსიცოცხლო და ქიქისთვალემა სახეებს შუა მოემწყვდა.

უფრო ეტკინა გული.

ოთახშივერ მოითმინა. გამოვარდა გარედ. პატარა ბილიკით ჩაირბინა დაღმართი და ჩამოჯდა მტკვრის სანაპიროზე, სადაც უზარმაზარი ტივები იყო დაბმული...

და დიდხანს იჯდა გივარგილა იქ.

და დიდხანს ფიქრობდა დადუმებული.

მერე წამოდგა, გამოხედა გულსაკლავად აფუგუნებულ ქუჩებს და უგზო-უკვლოდ გაჰყვა მათ აჩქარებულ მდინარებას.

— სად მიდის გივარგილა, რად მიატოვა კეთილ ალექსანდრეს სახლკარი...

თითონაც არ იცის.

წარბები მოუღუშავს, მოკუმშულ თითებს კბილებით ჩაფრენია. და მარტო ფიქრებით დახურვია თვალები.

კ. კალაძე და კ. ლორთქიფანიძე

(გაგრძელება იქნება).

მოდით სიხარულით უპეხვლეთ სკოლას!

ახლოვდება შემოდგომა, არც ისე შორსაა სკოლაში სწავლის დაწყების დრო. გაიხსენეთ, ყოველი ჩვენგანი აპრილის და მაისის თვეებში როგორ გახარებული ვიყავით, რომ სწავლა თავდებოდა. ბევრი კიდევ ამბობდა: მომბეზრდა ამ მაგიდებზე ჯდომა, რა კარგია აწი სოფელში ან პიონერ-ბანაკად წასვლაო.

რატომღაც ჩვენი სკოლა ბევრ ბავშვისათვის მოსაბეზრებელია და უხალისოდ ხვდებიან სწავლის დასაწყისსაც.

მოიძებნებიან ისეთი პიონერებიც, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სოფელში, ან ბანაკად ცხოვრობენ, სწავლის დასაწყისს იხსენებენ ზიზლით. მაგრამ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებიც მოუთმენლად



პ ი ო ნ ე რ ე ბ ი ა კ ე თ ე ბ ე ნ ხ ი დ ს.

უცდიან იმ დროს, როცა სკოლაში დაბრუნდებიან, ხელს მოკიდებენ წიგნს, დაიწყებენ ბეჯითად გაკვეთილების მზადებას.

უღაოა, რომ თავისუფლად სეირნობას, სუფთა ჰაერზე ყოფნას არაფერი სჯობია და ადვილი საქმეა კიდევ. ხოლო სწავლაც ხომ საჭიროა, მის გარეშე ხომ წარმოუდგენელია არსებობა. მაგრამ რით უნდა აიხსნას ისეთი უარყოფითი მოსაზრება, რომელსაც პიონერები გამოსთქვამენ სწავლის შესახებ საერთოდ? მისთვის არ გვიზიდავს სკოლა, რომ ვერ ვასწრებთ საგნებში და ეს კი იწვევს სიძულვილსო.

ვთქვათ ფორპოსტი ან კოლექტივი მუშაობს სუსტად, დისციპლინა მეტად ცუდია. მაშინ რასაკვირველია შეიძლება დაეთანხმო ბავშვებს, რომ ასეთ სკოლაში სწავლაც ცუდი იქნება. მაგრამ განა მისაღებია ის საყვედური, რომელსაც ზოგიერთები გამოსთქვამენ? ვისი საქმეა ბოლოს და ბოლოს სკოლის საქმეების მოწესრიგება, იმ ნაკლის გამოსწორება, რომე-

ლიც ხელშესახებად გამომქლავებულია. ნუ თუ ჩვენვე არ შეგვიძლია მოაწესრიგოთ ეს საკითხები, შევმქნათ მაგალითად სუსტ მოწაფეებისათვის დახმარე ჯგუფი, შევკრიბოთ სია გაჭირვებულ ბავშვების, გამოვარკვიოთ, თუ ვის რა უჭირს, ვის რა უშლის ხელს სწავლაში? მოდით ეხლავე შეუდგეთ და კოლექტივებში და ბანაკში შემოვიღოთ სამაცადინო საათები. წინასწარ გამოვარკვიოთ სკოლაში სწავლაზე ხელის შემშლელი მიზეზები.

თუ ჩვენ შევძლებთ ეხლა ბანაკებში ამ სამზადისის ჩატარებას, მაშინ მაცადინებობის საქმე არ იქნება ჩვენთვის გასაჭირი და საძნელო. მოდი სამოსწავლო წლის დასაწყისს შევეგებოთ სასკოლო დიდ დღესასწაულით.

პიონერებო! გამოთქვით თქვენი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ყოველი პიონერ-ორგანიზაცია ხალისით შეხვდეს სწავლის დასაწყისს.

ა. ასტაშევა.

„კრასინმა“ გადაარჩინა ნობილუს თანამგზავრები

მასაოკარი ამბები მოხდა და ხდება დედამიწის ჩრდილოეთ პოლიუსზე. ეს ის ადგილია, სადაც გაუვალეო ყინულებითა და ყინვა-ნისლებითაა ყველაფერი დაფარული და მთელი ბუნება ადამიანისათვის ჯერ გამოურკვეველი საიდუმლოებებით და სიძნელებითაა მოცული.

მიუხედავად ამისა, ადამიანის გონება და მისწრაფება იქეთა მიმართული, რომ რაღაც უნდა დაუჯდეს, მისწვდეს და გამოიკვლიოს დედამიწის ეს საიდუმლო ადგილი.

ძიება პოლიუსის გამოსაკვლევად, რასაკვირველია, გუშინ არ დაწყებულა. მაგრამ მის სიღრმეში თანდათან შექრა ხდება იმის დამიხედვით, რამდენად უმჯობესდება ტენზიკა-მეტრიკება.

თუ წინადასწინელი გაჭირვებით უხდებოდათ მკვლევარ მოგზაურებს, გემებით და სხვა უბრალო საშუალებებით პოლიუსისაკენ გამგზავრება. ეხლა საქმე მივიდა იქამდე, რომ იქ ადამიანები ცდილობენ შეიქრან არა თუ მარტო ძლიერამოსილი ყინულისმჭრელი გემებით, არამედ დირიჟაბლებით და ჰაეროპლანანებითაც.

მაგრამ თუ რამდენად ძნელია ჯერ კიდევ ამ საშუალებებითაც მიზნის მიღწევა, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ცნობილი მკვლევარი ნობილუს ექსპედიციის თავგადასავალი და ის ამბები, რომელიც დღეს პოლიუსის მახლობლად ხდება და მთელი დედამიწის ყურადღებას იპყრობს.

როგორც ვიცით, ამა წლის გაზაფხულზე პოლიუსისაკენ გაფრინდა ნობილუს ექსპედიცია; დირიჟაბლი „იტალია“. ნობილუს გაფრენა მეცნიერული მიზნით ხდებოდა. მისი გაფრენა არც პირველი იყო. იგი უკვე მესამეჯერ მიფრინავდა იქეთ, პოლიუსის მისაკვლევად, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. დირიჟაბლი „იტალია“ წააწყდა ყინულის გორას და დაიმსხვრა.

ნობილუს თანამგზავრთა (თექვსმეტი კაცი) შემადგენლობა გაიყო რამდენიმე ნაწილად და ვაიბნა ამ ყინულებების უდაბნოში.

ერთერთმა ჯგუფმა, როგორც იყო, რადიოს საშუალებით აცნობა მსოფლიოს უბედური შემთხვევის შესახებ, რომლის შემდეგ დედამიწის ყოველ ქვეყნიდან მათ გადასარჩენად გაემართა უამრავი ექსპედიციები, მათ შორის საბჭოთა კავშირიდანაც აღმოსავლეთით ექსპედიცია ყინულისმჭრელი „მალიგინი“ და მფრინავი ბაბუშკინი, სამხრეთის მხრით მეორე ძლიერამოსილი ყინულისმჭრელი „კრასინი“ და მფრინავი ჩუხნოვსკი. როგორც ვიცით, — საბჭოთა კავშირის ამ ექსპედიციებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს.

სხვათა შორის ნობილუს საძებნელად პოლიუსისაკენ გაფრინდა პოლიუსების ცნობილი მკვლევარი ამუნდსენი, რომელიც სამწუხაროდ საღალატე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

თვითონ ნობილვე გადაარჩენილია, მაგრამ დღემდე გრძელდება მისი თანამგზავრების და ამუნდსენის ძიება.

ნობილუს ჯგუფი პირველად შენიშნა იტალიელმა მფრინავმა, რომელიც შემდეგ აიყვანა ყინულიდან ნორვეგიელ მფრინავმა ლუნდბორგმა. რაც შეეხებათ



ჩინელი ბავში პეკინის ქუჩაზე.

დანარჩენ ჯგუფებს როგორც იყო მალგრენის და ვილერის ჯგუფები, მათ პოვნასა და გადაარჩენაში არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის ექსპედიციებმა კერძოდ მფრინავ ჩუხნოვსკიმ და ყინულისმჭრელმა „კრასინმა“.

ამჟამად ჩუხნოვსკი ემზადება ვასაფრენად ამუნდსენის საძებრად. რაც შეეხება მის მიერ მალგრენის ჯგუფის პოვნას, ამის შესახებ აი რას მოგვითხრობს თვითონ: „ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ვილერის ჯგუფის ყოფნა, მდებარეობდა წყლის დიდი სივრცის შუა. 80 გრადუს და 42 წუთის განივზე 25 გრად. 45 წუთის სიგრძეზე მექანიკოსმა შელაგინმა შეამჩნია ადამიანები. მათ ხუთჯერ შემოვუარე და ვეშვებოდი 50 მეტრის სიმაღლეზე, გარკვევით არაფერი სჩანდა კარგად. შევაჩნე ყინულზე ორი ადამიანი, მხოლოდ რამდენიმე მან-

ძილზე მათგან თავდაღმა ხელებგაშლილი მწოლარე ადამიანის სხეული. მოვემზადე სურსათის წყალში გადასადგებად, მაგრამ წვეტიანი და გარშემო წყლით შემორტყმული ყინულის მცირე სივრცის გამო უარყავი ეს გეგმა და გავემართე „კრასინისაკენ“. როდესაც კარლის კუნძულს გავცილდი, მოვხვდი სქელ ნისლში, როცა მივალწიე იმ ადგილას, სადაც ვარაუდად „კრასინი“ უნდა ყოფილიყო, მე დავიწყე მისი ძებნა.

21 საათზე ნისლში გახვეული დავეშვი ყინულზე, რომელიც მოლიპული აღმოჩნდა. ყინულზე დაშვების დროს ჰაეროპლანი დაზიანდა. შევუდექი ყინულის მდგომარეობის გამოკვლევას და დავდგი რადიო-ანძა, რის შემდეგაც კავშირი გავაბი „კრასინთან“. ვაცნობე მალგრენის, ყინულის დაზვერვის და ჩვენი მდგომარეობის შესახებ. ვაცნობე აგრეთვე ჩემი მოსაზრება ამ ჯგუფის დაუყოვნებლივ გადაარჩინის შესახებ“.

ყინულისმკრელ „კრასინზე“ ამ ცნობის მიღებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აღტაცება გამოიწვია. „კრასინი“ დიდი გაჭირვებით მივიდა იმ ადგილას, სადაც იმყოფებოდა ეს ჯგუფი და აიყვანა გემზე. ეს მოხდა 16 ივლისს. აღმოჩნდა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელი მალგრენი უკვე კარგახანია გარდაიცვალა. ორ მის თანამგზავრს ცაპის და მარიაონოს 13 დღის განმავლობაში არაფერი ექამათ. ისინი გადაარჩინეს.


როგორც კი იპოვეს და გადაარჩინეს მალგრენის ჯგუფი, „კრასინმა“ გასწია მეორე ჯგუფის გადასარჩენად, რომლის შესახებ მათ რადიოთი აცნობეს.

12 ივლისს „კრასინი“ მიუახლოვდა ყინულის მინდორს, რომელზედაც იმყოფებოდა 7 კაცი. გემის საყვირის ხმაზე, თავის შესახებ მათაც აცნობეს, რის შემდეგ მეზღვაურები და ნობილეს ეს მსლებლები ერთმანეთს შეხვდნენ. ყინულს, რომელზედაც ცხოვრობდნენ ისინი ბანაკად, ყოველ წუთში მოელოდა დაშლა. ამრიგად თავის დროზე იგინიც გადაარჩინეს დალუბვას.

ამ დღეებში „კრასინმა“, რომელიც მიემართებოდა ნორვეგიის ნავთსაყუდისაკენ შესაკეთებლად, გზაში შემთხვევით გემ „მონტე სერვანტესზე“, რომელიც იძირებოდა ზღვაში — გადაარჩინა 1800 ადამიანი.

ნობილეს თანამგზავრების და ამუნდსენის ექსპედიციის ძებნა პოლიუსზე კიდევ გრძელდება. მათ ძებნაში მხურვალე მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირი, რომელმაც უკვე საკმაოდ დაამტკიცა თავისი ექსპედიციებით ჩვენი ავიაციის და ფლოტის სიძლიერე, საბჭოთა კავშირის ძლევამოსილობა, საქმის ცოდნა და გამბედაობა.

აღ. ს—ვა.



გერმანელი პიონერების კონფერენცია ქ. ბერლინში.

პიონერები ბანაკად

ბანაკად გამგზავრება

(ტფილ. ორგანიზ. ლენინის ჩაიონი).

ბანაკის მოწყობაზე ვლადიმერ კობახიძის და ვოცნებობდით მთელ ზამთარს. შეგროვდებოდნენ პიონერები ზამთარში და უზიარებდნენ ერთმანეთს მოგონებებს თუ როგორ ცხოვრობდნენ და რას აკეთებდნენ ბანაკად შარშან (თუმცა ასეთი მასიური ხასიათი არ ჰქონია ბანაკის მოწყობას, როგორც წელს). დიდხანს გვჭირდებოდა მაშინ მშობლებთან ლაპარაკი, რათა შეიღებოდა გამოეშვათ ბანაკად. მაგრამ მოახლოვდა პიონერთათვის სანატრელი დღე. წელს თვით მშობლებს მოყვადათ ბავშვები და იხვეწებოდნენ მათ გაგზავნას. ბანაკად გამგზავრებისას მშობლებს პიონერებთან ერთად მიჰქონდათ ბარგი სადგურისაკენ. პიონერები მიემგზავრებოდნენ ქვიშხეთში.

160 პიონერი შეგროვდა სადგურში და აქედან უკვე გაემართნენ რონოდებისაკენ, სადაც მათთვის იყო მთელ მატარებლის შემადგენლობიდან გამოყოფილი სამი რონოდა. ისინი მლიმარე სახეებით გაემართნენ რონოდებისაკენ და ჩასხდნენ.

აგერ რონოდების ფანჯრებიდან იცქირებიან პიონერები, რომლებიც გარშემორტყმული არიან მშობლებით, ისინი რჩევა-დარიგებებს აძლევენ მათ.

სადგურში მისცეს მეორე ზარი. მატარებელი დაიძრა და მშობლები ცხვირსახოცის ქნევით ეშვებოდნენ ბავშვებს, პიონერებიც პასუხს აძლევენ წითელი ყელსახვევის რჩევით.

სალამო ხანს მიუახლოვდნენ საგარაკო ადგილას სოფ. ქვიშხეთს, რომელიც მდებარეობს ბორჯომიდან 15 ვერსის დაშორებით.

აქ მათ დახვდათ უკვე წინასწარ გამზადებული დიდი შენობა, რომელიც თავის სიდიდით განირჩევა სხვა სახლებისაგან. იგი ოდესღაც ეკუთნოდა ვინმე თავადს, დღეს კი აქ თავი მოიყარეს მშრომელთა შეილებმა ჯანმთელიობის აღსადგენად და დასასვენებლად. პირველი დღე ბავშვებისათვის ჩატარდა ცუდად. როგორც ყოველ ბანაკში, ნაწილობრივ გრძნობდნენ სივიწროვეს და სხვა. სამაგიეროდ შემდეგ დღეებში საქმე წავიდა კარვად, ყველანი დაბინავდნენ. თვითვე მათგანს მიეცა ცალკე საწოლი, მოეწყო ცალკე სასადილო მაგიდები, აიშარათა ანძა და საუენის სიმალის, რომელზედაც წითელი დროშა ფრიალებს და იძლევა ნიშანს, რომ აქ დაბანაკებული არიან პიონერები ლენინის უბნისა (ყოფ. ნაძალადევი).

სალამობით ბანაკში კოცონთან საუბრისას გროვდება მთელი სოფლის მოსახლეობა თავიანთი ბავ-

შებით და საგარაკოდ ჩამოსული მოქალაქეები, რომლებიც უსმენენ პიონერთა მიერ გამართულ სიმღერას, ცეკვა-თამაშს. არც საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა გამორჩენილ მათ. იგი შეადგენს ბანაკის მუშაობის უმთავრეს საგანს. მაგალითისათვის ავიღოთ: ადგილობრივ ერთ რგოლს შეუკეთებია წყარო, რომელიც ყოფილა ანტიჰიგიენურ მდგომარეობაში. ამ წყალით სარგებლობს მთელი სოფელი. ახლო ხანს ადგილობრივ საბანაკო საბჭომ განიზარაზა მოეწყო ადგილობრივი სოფლის საბჭოსთან, კომ. უჯრედთან და კომკავშირთან ერთად საზოგადო სასეირნო ბაღი გლეხობისა და მოაგარაკეთათვის. პიონერთა საბჭოს წინადადებას თემ-საბჭო შეხვდა სიხარულით. პიონერები ეხმარებიან აგრეთვე ქვრივ-ობლებს და წითელ-არმიელთა ოჯახებს თივის, ძნის დადგმაში და სხვა. აი ის საზოგადოებრივი მუშაობა, რომელიც ჩაატარეს ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბანაკად მყოფმა პიონერებმა.

ადგილობრივ საბანაკო საბჭოს მიერ შექმნილია ორი მცირეკალიბრიანი თოფი. ბავშვები სწავლობენ სროლას.

ჩატარებული იყო ექსკურსია მასწავლებლის მიერ, რომელიც სპერიალურად არის მიმავრებული ბანაკზე ადგილობრივ ბუნების შესასწავლად და სხვა.

უკანასკნელად ბავშვებს ემჩნეოდათ გამოკეთება ჯანმთელიობის მხრივ და ლაპარაკი არის უკვე, თუ ვინ რამდენი მოიმატა.

ქალაქიდან სტუმრად ჩამოსული მშობლები, რომლებიც ბავშვების სანახავად მოდიან, ძლივს ცნობილობენ მზეში გაშავებულ თავიანთ ბავშვებს და ხუმრობით ნეგრებს უძახიან. მშობლები გამოთქვამდნენ დიდ კმაყოფილებას და აცხადებდნენ, რომ მომავალ წლებში უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებენ ბანაკობის მოწყობაში. ეს კი ჩვენი საბანაკო მუშაობის დიდ გამარჯვებას ნიშნავს, რასაც ალბად მომავალ წელში უკეთესი შედეგი ექნება.

აი დაახლოვებით ის, თუ როგორ ისვენებს და აჯანსაღებს სხეულს თბილისის ორგანიზაციის ერთი ბანაკი, რომ თავის პატარა ენერჯია მოახმაროს ჩვენი ქვეყნის განმტკიცების საქმეს.

სხვა პუნქტებში მოთავსებულ ბანაკის შესახებ შემდგომ.

ჩვენ ექსპურსია

(შორაპან-ზესტაფონი).

15 ივლისის დღეა. ჯერ კიდევ არ გათენებულა, როდესაც შორაპანის რკინის გზის მახლობლად გაისმის საყვირის და დოლის ხმა. პიონერები თანდათანობით იკრიბებიან და რიგი იზრდება.

— სმენა! გაისმა და ზესტაფონისა და შორაპან-კოლექტივის პიონერები პატარა ჩანთებით ხელში ჩამწყრივდნენ რიგად. ორი-სამი წუთის შემდეგ პიონერთა ჯგუფი მიემგზავრება სადგურისაკენ, სადაც უცდისთ საჩხერეში მიმავალი პატარა ღია ვაგონი. სადგურში მყოფნი ღიმილით უცქერებიან ამ ალიონზე მონაგარდუ პიონერებს და სიცოცხლე ემატებათ სხეულში.

— ნინო, გზაში ქვეიანად იყავ! სერგო, დაუჯერე ხელმძღვანელს, ვაგონიდან არ გადმოხვიდე— გაისმის მშობელთა სიტყვები შვილებისადმი, რომლებიც სიხარულით აღტაცებულნი არიან. დაინძრა მატარებელი. აღმოსავლეთის მხარეზე ფრიალებს წითელი დროშა, საყვირი მჭეპარედ გაჰყვირის სივრცეში, ისმის სიმღერა ვაგონიდან, მშობლები ქუდისა და ხელების ქნევით ეშვებილობებიან ვაგონით მიმქროლავ პიონერებს. მატარებელმა მოუმატა სისწრაფეს, პიონერებიც ახმაურდნენ, ამღერდნენ და შეუერთეს თავიანთი ხმა ორ მთას შორის მიმქროლავ ორქმავლის ხმაურს.

მოახლოვდა მეორე სადგური. გუნდი უფრო მჭეპარედ მღერის და პიონერთა მხიარულებიც მატულობს. ბავშთა ოჯახის საქმიანობაში და მხიარულებაში მონაწილეობას ღებულობენ კოლექტივის ხელმძღვანელები და ერთი მასწავლებელიც. მატარებელი შევიდა სადგურში, დამხვდური ხალხი მრავლად შეჯგუფდა პიონერთა ვაგონის წინ და კმაყოფილებით უცქერდა მათ მხიარულებას.

უკვე ქიათურაში შედის მატარებელი. პიონერები აქ უფრო აფაციცებენ ყურადღებას, მათ აინტერესებთ საქართველოს სამრეწველო ქალაქის ნახვა. ხელმძღვანელის ხმა გაისმის: ამხანაგებო, ეს ქიათურაა, სადაც შავი ქვის წარმოებაა. პიონერები ყურადღებით ისმენენ ხელმძღვანელის სიტყვებს.

— პიონერები, პიონერები— გაიძახის პატარა ბავში სადგურში და უყვირის ამხანაგებს წამოსასვლელად ვაგონისაკენ. ქიათურიდან სიმღერით გამოვემგზავრეთ საჩხერისაკენ.

მიუახლოვდით საჩხერეს. პიონერები განსაკუთრებულად ემზადებიან აქ, გუნდი თავის ადგილს იკავებს, ყველანი თავიანთ ტვირთებს ხელს კიდებენ და ელიან პიონერების შეხვედრას. სადგურზე მწყრივად დგანან პიონერები. მის გვერდით ხელმძღვანელი

— გაუმარჯოს საჩხერის ნორჩ-ლენინელთა ორგანიზაციას— შესძახებს სტუმარ პიონერთა ხელმძღვანელი, რომელზედაც ისმის პასუხი: ურააა!

მისაღმების შემდეგ შორაპანის, ზესტაფონის და საჩხერის კოლექტივები გაემგზავრებიან ერთად საბავშო სახლისაკენ. პიონერთა საყვირის ხმა, დოლის ბრახუნის არღვევს მოზღვავებულ ხალხის ტალღას ბაზარში. ყველანი მისჩერებიან მათ. მიუახლოვდით საბავშო სახლს. მოისმა ბავშვების ჩოჩქოლი. ეზოში გამოსულიყვენ პატარა პიონერები. საბავშო სახლში მყოფი ბავშვები. მარჯვენა ხელში უკავიათ პატარა დროშები და ესაღმებიან სტუმრებს. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი თავს დარბაზში იყრიან. საბავშო სახლის ბავშვები როიალთან დგანან და ემზადებიან სიმღერისათვის.

— ზესტაფონისა, შორაპანისა და საჩხერის პიონერთა კოლექტივების საზეიმო სხდომას საბავშო სახლთან ერთად გახსნილად ვაცხადებ— ამბობს საჩხერის ბ. კ. ო. თემბიუროს თავმჯდომარე.

— რა კარგია, რომ გვესტუმრენ ჩვენი პატარა მეგობრები! ვინ უნდა ყოფილიყო, რომ ასეთ სურათის დროს არ აღვსილიყო ამ პატარა ბავშთა სიცოცხლით და სიხალისით. პატარა პიონერებად ირჩევენ სამ უფროსს ამხანაგს, რომელთაც აჯილდოებენ წითელი ყელსახვევით.

— ამხანაგებო! მომიტანია ძმობა და ამხანაგობა საერთო საქმეში, ზესტაფონისა და შორაპანის კოლექტივების სახელით! ამბობს სტუმარ პიონერებიდან ხელმძღვანელი კოლექტივებისა, რომლის სიტყვებს ფარავს ტაში და სიმღერა.

— თქვენ პატარა მომავლები საბავშო სახლში მყოფო ლენინელებო და პიონერებო ისწავლეთ, მიეჩვიეთ შრომას, აღიჭურვეთ საზოგადოებრივ საქმისადმი თავდადებით, ძია ლენინის დანატოვარ ანდერძით და დადექით პარტიის და კომკავშირის დროშის ქვეშ, ისმის მიმსაღმებელის სიტყვა. მინდორში შეიკრიბენ ბავშვები, შუაში ხელმძღვანელები ღიმილით ესაუბრებიან პიონერებს, რომლებიც ფანქრით ხელში იწერენ რალაც შენიშვნებს.

— პიონერებო! ჩვენ ვინახულეთ ჩვენი ძმები პიონერები, საბავშო სახლში მცხოვრები ოქტომბრელები, გავეცანით საჩხერის მდებარეობას, მოსახლეობას, ვნახეთ პოეტი აკ. წერეთლის ბინა, ეხლა კი უნდა დავიხსომოთ ყოველივე და შევისწავლოთ ჩვენი ექსპურსიის დროს გაკეთებულ-დანახული. მადლობა გადაუხადოთ ჩვენს ძმებს, პიონერებს და გამოვემშვიდობოთ მათ“.

სალამოს სივრცეში მოისმოდა სიმღერა და ეს სიმღერა იყო პიონერებისა, რომლებიც მოგზაურობიდან კმაყოფილნი და ნასიამოვნები სახლისაკენ მიჰქროდნენ. მეორე დღეს ისინი უყვებოდნენ ამხანაგებს ექსპურსიის ამბავს და აღტაცებულნი გარბოდნენ კოლექტივში.



როგორ ვცხოვრობთ ბანაკად.

ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონულმა კომიტეტმა საკმაოდ ადრე განიზრახა რომელიმე სოფელში მოეწყო ბანაკი იმ პიონერთათვის, რომლებიც რჩებოდნენ ზაფხულის განმავლობაში ქალაქში და საშუალება არ ჰქონდათ სოფლად წასულიყვნენ. თავის დროზე ყველაფერი მზად იყო და ჩვენც გავემგზავრეთ პიონერული წესით, სიხარულით და მარაგით დანიშნულ ადგილისაკენ.

ეს ადგილია ქვიშხეთი, სადაც ამჟამად ბანაკად მისული ვართ 150 პიონერი,

15 ივლისი იყო, როცა ტფილისიდან გამოვემგზავრეთ ქვიშხეთისაკენ. სალამოს 9 საათზე უკვე აქ ვიყავით.

მეორე დღეს გვარების ამოკითხვის შემდეგ ბანაკში ავირჩიეთ ხელმძღვანელი საბჭო და აგრეთვე სამნეო და სანკომისიის წევრები. ბანაკის მუშაობა საკმაოდ დამაკმაყოფილებელია. მუშაობა დანაწილებულია გვემიანად. ყველა ჩაბმულია სხვადასხვა საქმეებში, ყველაფერი წესიერად და დროზე კეთდება. დილით 7 საათზე ვდგებით, გავდივართ თავისუფალ ვარჯიშს, შემდეგ მივდივართ მტკვარზე პირის დასაბანად, დაბრუნებისას ვსვამთ ჩაის. ჩაის შემდეგ ხელს ვკიდებთ მუშაობას. თორმეტ საათზე ვსაუზმობთ. საუზმის შემდეგ ერთი საათი თავისუფალი ვვაქვს. ამ ხნის განმავლობაში ყველა პიონერს შეუძლია ითამაშოს, სწეროს და იკითხოს წიგნი.

ამ თავისუფალი საათის შემდეგ ისევ მუშაობას ვიწყებთ, რომელიც სადილობამდი გრძელდება. სადილის შემდეგ ერთ საათს კიდევ ვისვენებთ, მაგრამ ამ დროს არც ერთი პიონერი ფეხზე არ სდვას, ბანაკი დამშვიდებულია. ყველა წევს და სძინავს, ძილის შემდეგ იწყება საერთო გართობა თამაში. თამაშობის დროს ჩვენი ბანაკი სასიამოვნო სანახევია.

ყველა მხიარულობს, მოძრაობს. აქ ხელობურთს თამაშობენ, იქ ცეკვავენ, აქ საქანელაზე ქანაობენ, იქით რამდენიმე პიონერი შეკრებილია და მღერის პიონერულ სიმღერას.

სალამოს თამაშობას თავს ვანებებთ, მაგრამ ბევრს ღამის ციციხათელები ხიბლავს და დიდხანს სდევს მას.

9 საათზე უკვე ისევ ჩაის ვსვამთ, მხოლოდ ათ საათზე სიცოცხლით და სიხარულით საესე ბანაკი მყუდროვდება, რომ მეორე დღეს სიცოცხლით შეეგებოს.

ხშირად ეწყობა ექსკურსიები, გაფრენები და ყოველდღიური ბანაობა. ექსკურსიის მოწყობის დროს თან გვახლავს მასწავლებელი, რომელიც გვიხსნის ყოველივე ნახულის. პირველი ჩვენი ექსკურსია მოხდა სოფელ ახალდაბაში, სადაც დაგათვალიერეთ წისკილი. მეორე ჩვენი ექსკურსია მოხდა ახალდაბის ხეტყის ქარხანაში, რომელშიაც მუშავდება ხეტყე.

მესამე ჩვენი ექსკურსია მოხდა ჩვენი ბანაკიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ადგილას, სადაც ნახეთ მრავალი კონგლომერატები, დარგვალეებული ქვები, და მტკვრის მაღალი ნაპირები და ზვარი.

მეტად საინტერესოა ბანაობაც. საუზმის შემდეგ ბავშვთა ხმაური არღვევს მტკვრის მდუმარებას. ერთ-ერთი ვეშვებით მდინარეში, ზოგი ნაპირზე ჭყუმპალაობს. ბანაობა თავდება, მაგრამ ბევრს კიდევ ენანება წყლის მიტოვება. მშვენიერი სურათი იშლება, როდესაც 150 კაცი ამოდის წყლიდან.

ასე ვცხოვრობთ და ვატარებთ დროს პიონერთა ბანაკში.

პიონერები: **ნ. შარბანაშვილი.**
ლ. გრძელიშვილი.
ხ. ანდრიასოვი.

რამდენი პიონერია ბანაკად:

1. კოჯორში — 2-რე რაიონის პიონერების ბანაკი — 480
2. მანგლისში — 2-რე რაიონის პიონერების ბანაკი — 135
3. კარაკლისში — მე-3-მე რაიონის პიონერ. ბანაკი — 200
4. ქვიშხეთში — პირველი რაიონის პიონერ. ბანაკი — 160
5. ქობულეთში — ბათუმის ორგანიზ. პიონ. ბანაკი — 100



რას გვიაზოვებენ კომინტერნის მე-VI კონგრესის დელეგატები.

ფეხით, გემებით, ჰაეროპლანებით, ავტომობილებლით, მატარებლებით ერთი მეორეზე მოემგზავრებოდნენ მოსკოვში სხვადასხვა ხალხის, ეროვნებათა წარმომადგენლები.

რატომ? იკითხავთ თქვენ. მსოფლიო რევოლუციის შტაბის—კომინტერნის შექმნის კონგრესზე. აი რას გვიაზოვებენ მოსული ამხანაგები. ყური დაუდლოთ სამხრ. ამერიკელ ამხანაგებს:

სამხრეთი ამერიკა შესდგება პატარა ცალკე სახელმწიფოებისაგან, თუმცა ყველგან ერთდამთავრებაზე ლაპარაკობენ. სამხრეთ ამერიკა, სადაც სცხოვრობს 80 მილიონი ადამიანი, მდიდარია და სხვა ქვეყნების კაპიტალისტებისათვის ძალიან გემრიელ ლუკმას წარმოადგენს. ყველგანაა ნავთი, ბერუს და ბოლივიის სახელმწიფოებში კი რკინის დიდი მარაგი. ბრაზილია მდიდარია ყავით და კაუჩუკით, არგენტინა და ურაგვაი ამარაგებენ მთელ სამხრეთ ამერიკას და ნაწილობრივ ევროპას ხორციით და ხორბლით. იმისათვის, რომ დაიპყრონ ეს დიდი სიმდიდრე, კაპიტალისტები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ. უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში გაგზავნილ იქნა სამხრეთ ამერიკაში 36-ჯერ ჯარი და სამხედრო გემები. ამიტომ დიდ სიმდიდრეებს განიცდის მუშათა მოძრაობა იქ. იქ მუშათა კლასი ებრძვის არა მარტო შინაურ ბურჟუაზიას, არამედ უცხო ბურჟუაზიასაც. მაგრამ მიუხედავად ყველა დაბრკოლებებისა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამხ. ამერიკის მუშათა მოძრაობამ შექმნა რამდენიმე მძლავრი პროფკავშირი. ურაგვაიში და არგენტინაში ჩვენ უკვე მოვიპოვეთ კომპარტიის ლეგალიზაცია, მაგრამ სამხ. ამერიკის შტატების უმრავლესობაში კომპარტია და პროფკავშირების უმრავლესობა არალეგალურ მდგომარეობაშია. ამ სახელმწიფოებში ჩვენი მოძრაობა ძალიან იღვევება. საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. ჩილის ციხეებში დატუსაღებულ მუშებს უმი ლობიოთი ჰკვებავენ და სხვ.

ბავშვების გაყიდვა.

ბავშვების მდგომარეობა სამხ. ამერიკაში არა უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენ რასაკვირველია გვაქვს სკოლები—

გვიაზოვებენ დელეგატები, — მაგრამ იქ მუშების ძალიან ცოტა ბავში დადის. ნივთიერ გაკირვების გამო მუშები იძულებული არიან გაგზავნონ სამუშაოდ თავიანთი ბავშვები 6 - 8 წლის ჰასაკისა. მათ უნდა იმუშაონ დღეში 12 საათი და ხშირად მანე წარმოებებში (ქიმიური მრეწველობა, შუშის ქარხანა და სხვ.).

ბევრ ადგილას, განსაკუთრებით კი სოფლად, მშობლები იძულებულნი არიან გააყიდონ თავიანთი შვილები. იგინი აძლევენ მათ რომელიმე სხვილ ფაბრიკანტს, ან მემამულეს, რომელმაც შემდეგ უნდა იზრუნოს ბავშვზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იძულებულს ხდის ბავშვს იმუშაოს მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და სამაგიეროდ მშობერ საჭმელს და დაგლეჯილ ტანისამოსს აძლევენ.

თქვენ რასაკვირველია იტყვიან, რატომ კომკავშირის და პიონერორგანიზაციებით მათ არ ეხმარებიანო.

ამხანაგებო, ჩვენი მთავარი ამოცანა იყო შექმნა მტკიცე კომუნისტური პარტიის და პროფკავშირების და მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ მოგვეცა შეძლება გვეფქრა პიონერმოძრაობაზე და დაგვერახმა ბავშვები რევოლუციონური ბრძოლისათვის. მაგრამ ეხლა კომკავშირის ხელმძღვანელობით ჩვენ შევძელით ამ მხრივ ცოტა რამის გაკეთება. არგენტინაში და ურაგვაიში ჩვენ ეხლა გვაქვს პიონერთა კავშირი. პიონერები თავის გაზეთსაც კი უშვებენ მონტევიდეოში, რომელსაც ჰქვია „პროლეტარიატის ბავშვები“.

ჩვენ ვაძლევთ ფიცს, რომ კონგრესიდან სახლში დაბრუნების შემდეგ პარტია და კომკავშირი გააკეთებს ყველა შესაძლებელს მუშების ბავშვების დაცვის დარგში და მათგან მსოფლიო ოქტომბრისათვის მებრძოლების აღსაზრდელად.

ალჟირის ხე-ტყის ქარხანაში მუშაობს მრავალი ახალგაზრდა. მათ ექსპლოატაციას საზღვარი არა ქვს. 10—15 წლის ბავშვები აუტანელ მუშაობას ეწევიან. მათ სცემენ იმიტომ რომ არ იციან ფრანგული.

პ ი მ ნ ი ა

ამ თერთმეტის წლის წინად შუაგულ ევროპაში იყო გადაჭიმული უზარმაზარი ავსტრია-უნგრეთის სამეფო, რომელშიაც 60 მილიონამდე მცხოვრები ითვლებოდა.

მსოფლიო ომის დროს ავსტრია-უნგრეთი გერმანიის მხარეზე იყო და დამარცხების შემდეგ იგი დაინგრა. ამ მონარქიიდან წარმოიშვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები: ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი; ავსტრია-უნგრეთის დანარჩენ ნაწილები შეიერთეს იტალიამ, პოლონეთმა და რუმინეთმა.

მცხოვრებთა რაოდენობა დღევანდელ ავსტრიაში 7 მილიონს არ აღემატება.

ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დედა-ქალაქი ვენა იყო, რომელშიაც ორ მილიონამდე მცხოვრები ითვლებოდა. ამჟამად კი ვენა—ავსტრიის რესპუბლიკის მთავარი ქალაქია.

პატარასა და მთავორიან ავსტრიაში მიწათმოქმედებისათვის და მეჯოგეობისათვის გამოსადეგია რესპუბლიკის მიწების მხოლოდ მეოთხედი. ავსტრიის ბუნებრივ სიმდიდრეს შეადგენს მცირეოდენი რკინის მანები და დიდძალი საუკეთესო ტყე. პური, ქვანახშირი და სხვა ნედლი მისალა ავსტრიის არ ჰყოფნის და იგი იძულებულია უცხო ქვეყნებიდან შემოზიდოს.

ავსტრიიდან უმთავრესად გააქვთ საკუთარი მრეწველობის ნაწარმოებნი, როგორც მაგალითად: ლითონისა, ქსოვილებისა, ქიმიური, ხე-ტყისა და ტყავულობის.

ავსტრიის დანარჩენი ქალაქები უმთავრესად სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ (გრაცი, ლინცი). ავსტრიის ზოგიერთი ქალაქი განთქმულია თავისი სილამაზითა და ბევრ მდიდარ მოგზაურს იზიდავს (ზალცბურგი და ინსბურკი).

ამ პატარა ქვეყანაში 200 ათასზე მეტი უმუშევარია.

1918—19 წლებში, როდესაც ბავარიისა და უნგრეთის მუშათა კლასი საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდა, ავსტრიის მუშათა კლასმა ვერ ისარგებლა ამ მომენტით და ვერ გამოიყენა ეს შემთხვევა თავისი განთავისუფლებისათვის.

ავსტრიაში მუშათა ხელფასი თანდათან ეცემა და სამუშაო დრო კი დიდდება. ამიტომაც, რომ უმუშევართა რიცხვიც იქ თანდათან იზრდება.

ავსტრიის ყველა მოქალაქე სარგებლობს არჩევნების უფლებებით ავსტრიის პარლამენტში. ამ უკანასკნელს ეკუთვნის საკანონმდებლო ძალა-უფლება (პარლამენტს ირჩევენ 4 წლით). ავსტრია დაყოფი-

ლია 7 პროვინციად, რომელთაც აქვთ თავისი „პროვინციალური სემები“. ეს სემები ირჩევენ „საკავშირო საბჭოს“. ეროვნული საბჭო და საკავშირო საბჭო თავს იყრიან და ირჩევენ პრეზიდენტს 4 წლის ვადით. ამჟამად ავსტრიის პრეზიდენტია—ბურჟუაზიის წარმომადგენელი მიხეილ გაინიში.

ავსტრიაში ამჟამად ყველაზე ძლიერია ქრისტიან სოციალისტთა პარტია, რომელიც შესდგება მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიისაგან, მონარქისტებისა და რესპუბლიკელებისაგან. ამ პარტიის ბელადია ავსტრიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზეიპელი.

სოც. დემოკრატების მთავრობით ავსტრიაში ფაშისტთა რიცხვი იზრდება. 1927 წლის იანვარში ავსტრიის ერთ პატარა ქალაქ შატენდორფში—ფაშისტები დაეცნენ მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციას და ერთი მუშა და ოთხი წლის ბავში მოკლეს. მკვლელები სასამართლოს გადაეცა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში დანაშაულობა დამტკიცდა, ბურჟუაზიულმა სასამართლომ მაინც გაამართლა მკვლელები.—ეს იყო 15 ივლისს 1927 წელს.

ამ განაჩენმა ძალზე ააღელვა ავსტრიის მთელი მუშები; მათ მიატოვეს სამუშაო და მოაწყვეს კრებები, სადაც მოითხოვდნ სასამართლოს დადგენილების ხელახლა გადასინჯვას. მუშები დემონსტრაციით წავიდნ ვენის მთავარ სასამართლოს შენობისაკენ. პოლიცია ჩასაფრებულებიყო სასამართლოს შენობაში და უიარაღო მუშებს სროლა აუტეხა. მუშები შეცვიდნ სასამართლოს შენობაში. სასამართლოს არქივები ფანჯრებიდან გადმოყარეს და ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლი სასამართლოს შენობაზედაც გადავიდა და დასწვა.

ასეთი ბრძოლის შემდეგ ვენის ქუჩებში სასამართლოს შენობასთან რამოდენიმე ათეული დაღუპული მუშათა გვამი ეყარა. დაჭრილთა რაოდენობა კი უფრო მეტი იყო.

მთელ ავსტრიაში 16 ივლისს საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. მუშობა შეწყვიტეს ფაბრიკა-ქარხნებმა და მალაროებმა. რკინის გზებისა და ფოსტა ტელეგრაფის მუშებმაც შეწყვიტეს მუშაობა. ცენტრალური რადიო-სადგურიც მუშებმა დაიკავეს, რომ მთავრობისათვის არ მიეცათ საშუალება გაეგრცვლებია მსოფლიოში ცრუ ხმები გაფიცვების შესახებ.

ამ გაფიცვებმა მთავრობა ძალზე შეაშინა და დაიწყო მოლაპარაკება მეზობელ ქვეყნების მთავრობებთან—უნგრეთთან, იტალიასთან და სხვებთან, რათა გამოეგზავნათ ჯარები ავსტრიის მუშათა მოძრაობის დასამარცხებლად.

ამ შესანიშნავ დღეებში ძალზე ცუდი იყო სოც. დემოკრატების საქციელი. „მუცხუნდი“ (თავდაცვის კავშირი) სოც. დემოკრატების ხელში იყო. ამიტომ მათ მიიღეს მონაწილეობა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ და მუშებს ტყვია დაუშინეს.




1927 წლის 20 ივლისს ვენაში გაიმართა 57 დაღუპულ მუშის დასაფლავება. ნიშნად გლოვისა ავსტრიის ყველა წამოწყებებში ჩატარდა 15 წუთიანი გაფიცვა.

ვენაში ივლისის მომხდარ ამბებს აქვს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა. ავსტრიის მუშებმა გვიჩვენეს, რომ რევოლუციონური სული სცოცხლობს მასებში.

ჩვენ ვიცით რომ ამ რამოდენიმე ხნის წინად ამავე ავსტრიაში დააპატიმრეს ცნობილი უნგრელი კომუნისტი ამხ. ბელა-კუნი, რომელიც 1918—19 წლებში საბჭოთა უნგრეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ იყო. მაგრამ უნგრეთში რეაქციის გამარჯვების შემდეგ ამხ. ბელა-კუნი იძულებული გახდა თავის ქვეყნიდან გაქცეულიყო, რადგან მას რეაქციონერმა ხორტის მთავრობამ სიკვდილით დასჯა მიუსჯა. ამხ. ბელა-კუნი ჯერ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, მაგრამ ავსტრიაში ჩავიდა თუ არა, იგი დააპატიმრეს. უნგრეთის შავრაზმულ მთავრობას უნდოდა ბელა-კუნი ხელში ჩაეგდო და ეს რევოლუციონერი სიკვდილით დასაჯა. ავსტრიის მთავრობაც უნგრეთის მთავრობის მხარეზეა, მაგრამ ავსტრიის და მსოფლიო მუშათა კლასის ზემოქმედებით ბელა-კუნი განათავისუფლეს და იგი ისევ დაბრუნდა ამ დღეებში საბჭოთა კავშირში.

ალ. გორგაძე.



სოც.დემოკრატების გავლენით საყოველთაო გაფიცვა შეჩერდა. ბურჟუაზიამ შენევიკების დახმარებით ცდილობდა კიდევ შესძლო ავსტრიის პროლეტარიატის რევოლუციონური მოძრაობის ჩაღრმობა.

ამ მოძრაობას ავსტრიის ახალგაზრდა კომუნისტურ დაბრტბ (დაარსებულია 1918 წელს) ხელმძღვანელობდა. მუშათა ამ მოძრაობის დამარცხების შემდეგ დაიწყო ავსტრიაში კომუნისტების ღვეწა.

რა უნდა ვაკვირდეთ?

საქ. ბ. კ. ო. ცენტრალურ ბიუროს რედაქციით გამოვიდა შემდეგი წიგნები:

1. აბესაძე და გორგაძე „პიონერ-კოლექტივის საგაზაფხულო და საზაფხულო მუშაობა“ და
2. გორგაძე და ბარსეგოვი „პიონერთა თამაშობანი“.

უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე პიონერთა ლიტერატურა მეტად მცირეა. საქართველოში პიონერთა ორგანიზაციის 5 წლის არსებობის განმავლობაში გამოცემულია სულ რამოდენიმე წიგნი პიონერ-მოძრაობის საკითხზე. ამიტომაც თვითვე წიგნის გამოცემას პიონერორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნული წიგნებიდან პირველი („პ. კოლექტ. საზაფხულო მუშაობა“) შეიცავს პიონერ-კოლექტივის საგაზაფხულო და საზაფხულო მუშაობის ყველა ფორმებს. წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი პიონერთა ფიზიკურ გაჯანსაღების ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პიონერთა საზაფხულო მოედანი, ექსკურსიები, გასეირნებანი, ბანაკის ორგანიზაციული ფორმები, შრომა და რეჟიმი, ფიზიკური და სამხედრო აღზრდა ბანაკად. გარდა ამისა წიგნში აღწერილია ფიზკულტურისათვის მზის, ჰაერის და წყლის გამოყენების საშუა-

ლებანი. გარდა ამისა, წიგნში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი საზოგადო პრაქტიკულ სასარგებლო მუშაობის ფორმებს და პირველ პიგში უპატრონო და შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობას, საზოგადოებრივ პრაქტიკულ მუშაობას სოფლად, ქონსამკითხველოებში, პოლიტიკურ და შინააღმშრდელით მუშაობას.

მეორე წიგნს „პიონერთა თამაშობანი-ს დიდი ხანია მოელოდა პიონერთა ორგანიზაცია, მით უმეტეს, რომ დღემდე არ არსებობდა თამაშობათა კრებული ქართულ ენაზე. უფრო მიზანშეწონილია პიონერთათვის ისეთ თამაშობების მიწოდება, რომლებსაც აქვთ ერთის მხრივ ფიზიკურ აღმზრდელი ბითი და მეორეს მხრივ სოციალისტურ აღმზრდელი ბითი ხასიათი. ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს ხსენებული თამაშობათა კრებული.

თამაშობების დანაწილება ასეთია: 1. ოთახის თამაშობანი, 2. მიბადებითი ხასიათის თამაშობანი, 3. მოძრაი თამაშობანი, 4. რევოლუციონური თამაშობანი და 5. ინსცენირობები.

ორივე წიგნი კარგად არის გამოცემული, დასურათებულია, მხოლოდ ფასი მოიძვირებს (პირველი წიგნი ლირს—60 კაპ. მეორე 80 კაპ.).



თაქეუბანი

ციხის აღება.

მოთამაშეთა რიცხვი: ექვსიდან ოცდახუთამდე.

მოთამაშეთა ასაკი: 12—16 წლამდე.

სათამაშო ადგილი: პატარა და სწორი მოედანი, ან ოთახი. მიწაზე მოხაზავენ წრეს, რომლის დიამეტრი დამოკიდებულია მოთამაშეთა რიცხვზე. წრის ცენტრში მოთავსებულია ციხე, რომელსაც წარმოადგენს თავში თოკით შეკრული სამი ჯოხი (სამფეა ისეთი, როგორც იციან მხერხავებმა).

სათამაშო იარაღები: რეზინის დიდი ბურთი (შეიძლება ფეხბურთის ბურთიც), სამი ჯოხი და თოკი.

მოთამაშეთა განაწილება: მოთამაშენი ღვებიდან მოხაზულ წრეზე 1—2 ნაბიჯის მანძილზე ერთმანეთისაგან. ერთი მოთამაშეთაგან, რომელიც ციხის მცველს წარმოადგენს, წრის ცენტრში ღვება (ციხესთან).

თამაშის აღწერა: წინამძღოლის ნიშნის მიცემისთანავე მონადირე სამჯერ აისერის ზევით ბურთს და ამ დროს განმავლობაში ნადირები ცდილობენ რაც შეიძლება შორს გაიქცენ მონადირისაგან, როდესაც მონადირე შესაძებ ბურთის აგდების შემდეგ დაიჭერს ბურთს, იგი გამოეკიდება ნადირებს და ცდილობს მოარტყას ვისმეს (ნადირს): რომელსაც ბურთი მოხვდება, შეუძლია იმ წამსვე აიღოს ბურთი და მოარტყას მონადირეს. თუ მან მოახერხა მონადირისათვის ბურთის მოარტყმევა, იგი ისევ ნადირად დარჩება და თუ არა—ძალად იქცევა და ეხმარება მონადირეს დანარჩენი ნადირების დაჭერაში. დახმარება იმაში მდგომარეობს, რომ ძალის აწვდინს ბურთს მონადირეს, უკანასკნელად დარჩენილი

დაუჭერელი ნადირი ითვლება მოგებულად, იგი ხდება მონადირე და თამაში თავიდან იწყება.

წესები:

1. თამაშის დაწყებისას მონადირეს არა აქვს უფლება გაისროლოს ბურთი, თუ იგი სამჯერ არ ააგდო ზევით.
 2. დადალული ნადირს შეუძლია ესროლოს ბურთი მონადირეს იმ შემთხვევაში, თუ იგი მოასწრებს მონადირეს გასროლილი ბურთის აღებას.
 3. ნადირს შეუძლია შეეხოს ბურთს იმ შემთხვევაში, როდესაც მას იგი მოხვდება. დანარჩენ შემთხვევაში ნადირს არა აქვს ბურთის შენების უფლება.
 4. ნადირი, რომელიც მოშორდება მოხაზულ მოედანს, დაჭერილად ითვლება.
 5. თუ ბურთი თამაშის დროს მოხაზული მოედნის გარეთ გავარდა, მისი შემოტანა შეუძლია მხოლოდ მონადირეს.
 6. ბურთის ფეხით გაკერის უფლება ენიჭებათ ნადირებს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მონადირე ორ ძალს შეიმჩნის.
 7. ნადირები, რომლებიც წესებს დაარღვევენ, დაჭერილად ითვლებიან და ძალგებად გახდებიან.
- შენიშვნა: თუ თამაში პატარა მოედანზე ან ოთახში სწარმოებს, მაშინ მონადირე კი არ ირბენს მოედანზე, არამედ სდგას ერთ ადგილზე და იქიდან ესვრის ნადირებს ბურთს.
- თამაშის მნიშვნელობა: ეს თამაში აწვითობს ბავშვებს კიდურებს, მუცლის კუნთებს, გულ-მკერდს და ფილტვებს, აწვითობს ყურადღებებს, გამბედაობას და გამჭრიახობას.

გამოდის 1928 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო სასურათო

ქურნალი

მოზღვრული

პიონერი

III

ქურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის საშინაო სასურათო.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ეკონომიკური, ორგანიზაციის ეკონომიკური კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და საშინაო სასურათოების ვალდებულებული გამოცემის

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელგამი (ძეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქსოგზრული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკულაქიო კოლაბია.